# ნორჩ ლენინელთა დიდი ზეიმი

19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 მაისი, პარასკევი, 1972. ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან. № 116 (15329)


# ლენინის ანდერძის ერთგული ვართ!

## საბჭოთა პიონერების საზეიმო შეკრება

18 მაისს გაისმა პიონერთა საყვირების ნიშანი დიდი საიუბილეო შეკრებისათვის. საზეიმო ხაზზე ჩამწკრივდა ქვეყნის ყველა პიონერული რაზმეული.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პიონერიის წარმომადგენლები კრემლის ყრილობათა სასახლეში მოვიდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე. პიონერებთან ერთად შესანიშნავ დღესასწაულს აღნიშნავენ პარტიის, კომკავშირისა და პიონერული მოძრაობის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დედაქალაქის ახალგაზრდობა.

17 საათია. შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, ბ. ნ. პონომარიოვს. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი, მინისტრები, მხედართმთავრები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელები, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. ვ. ფედულოვა საზეიმო შეკრებას გახსნილად აცხადებს.

ნახევარი საუკუნეა ცოცხლობს, ვითარდება, მტკიცდება ნორჩ ლენინელთა, რევოლუციის დიადი საქმის მემკვიდრეთა და განმგრძობთა ორგანიზაცია, — თქვა შესავალ სიტყვაში ა. ვ. ფედულოვამ. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს მებრძოლთა და აღმშენებელთა აღზრდის საუკეთესო გზად მიაჩნდა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია. და იგი გაიზარდა, პარტიის მუდმივი ზრუნვითა და ყურადღებით გარემოსილი.

ა. ვ. ფედულოვამ განაცხადა, რომ პიონერთა საზეიმო შეკრებაზე მოვიდა ხუთი ათასი სწავლის ფრიადოსანი, პიონერხელმძღვანელი, მასწავლებელი, პიონერთა მოძრაობის ვეტერანი მოსკოვიდან, გმირი-ქალაქებიდან, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან.

სიხარულით, თქვა მან, დიდი მადლობის გრძნობით მივესალმებით პიონერთა საზეიმო შეკრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან), პოლიტბიუროს წევრებს, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

პიონერებმა საზეიმო შეკრების პრეზიდიუმის წევრებს ყვავილები მიართვეს.

შეკრებილთა სახელით, 25 მილიონი პიონერის, საბჭოთა კავშირის ყველა კომკავშირელის სახელით სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ მხურვალე და გულწრფელი მადლობა გადაუხადა კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას ნორჩ თაობაზე უდიდესი ზრუნვისათვის.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო ესკორტის თანხლებით მედროშეებს შემოაქვთ ლენინური კომკავშირის დროშა, საბჭოთა პიონერიის წითელი დროშა, სამახსოვრო დროშა.

გაისმის ფანფარების ხმა. ჟღერს პიონერული რაზმეულების მარში და დარბაზში შემოდიან საუკეთესო მეწინავე რაზმები — „მუდამ მზად ვართ!" სრულიად საკავშირო მარშის გამარჯვებულნი, შრომითი რეზერვების, ნორჩ ქვეით ჯარისკაცთა, მფრინავთა, მეზღვაურთა, ნორჩ კოსმონავტთა და სანიტარული რაზმების წევრთა ნაკრები კოლონები. სცენაზე ადის საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი პიონერების ჯგუფი.

პიონერი ანდრია მოტორინი — მოსკოვის № 359 სკოლის მეხუთეკლასელი იძლევა ბრძანებას: „პიონერებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი პატაკისათვის — სმენა!".

შემდეგ გაისმის პიონერული პატაკის ამაღელვებელი სიტყვები:

**დღეს საბჭოთა პიონერიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო პიონერულ შეკრებაზე 25 მილიონი ნორჩი ლენინელია!**

**პარტიავ, პატაკს გაბარებს**
**სამოცდაათიანი წლების პიონერია!**
**ყოველი ჩვენი ნაბიჯი საუკუნის სვლით და**
**მამათა დიდებით დადასტურებულია.**

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო, — ამბობს ანდრია მოტორინი, — ნება მიბოძეთ 25 მილიონი ნორჩი პიონერის დავალებით ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს გადავცე ჩვენი პატაკი. ამ პატაკში მოთხრობილია პიონერულ საქმეებზე, საბჭოეთის ნორჩი თაობის ერთგულებაზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უკვდავი ანდერძისადმი, ჩვენს სიყვარულსა და ერთგულებაზე მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

დარბაზის ტაშის გრიალში მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა მთელი ქვეყნის პიონერთა პატაკის წიგნი.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მიიღო პატაკის წიგნი და მამაშვილურად გადაეხვია პიონერს.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლას.

## ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა

ძვირფასო პიონერებო!

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყანა დღეს იუბილეს უხდის თავის ნორჩ მოქალაქეებს, ჩვენ აღვნიშნავთ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს. ამ დღეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოთა მთავრობა მხურვალედ და გულითადად ულოცავენ ყველა ნორჩ ლენინელს, ახალგაზრდობას ჩვენი მებრძოლი, საქმიანი და ხალისიანი საბჭოთა პიონერიის შესანიშნავ იუბილეს!

თქვენი პიონერული დღესასწაული შევიდა ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში. ბევრი ჩვენგანი, უფროსები, — თქვენი დედები და მამები, ბებიები და პაპები დიდი გულითადობით ვიგონებთ ჩვენს პიონერულ წლებს. წითელი პიონერული დროშის ქვეშ აღიზარდა საბჭოთა ადამიანების არაერთი თაობა. დამსახურებული მუშა და მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი, მემკვიდრეობით მხვნელ-მთესველი და ლეგენდარული მარშალი, სახელგანთქმული კოსმონავტი და სახალხო მასწავლებელი — თავის დროზე პიონერები იყვნენ, გაიარეს კარგი სკოლა პიონერულ ორგანიზაციაში.

თქვენ იცით, ძვირფასო ბავშვებო, რომ პიონერული მოძრაობის სათავეებთან იდგა დიდი ლენინი. ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციაში მან გამჭრიახად შენიშნა ახალი საზოგადოების მშენებელთა მომავალი თაობების აღზრდის მძლავრი საშუალება. გმირულ კრასნაია პრესნიაში წარმოქმნილი პირველი რაზმებიდან პიონერულმა ორგანიზაციამ განვლო გზა ბავშვებისა და ახალგაზრდობის მართლაც რომ მასობრივ გაერთიანებამდე. ახლა ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ მოზარდი ცვლით, რომელიც ერთგულია მამათა იდეალებისა, უსაზღვროდ ერთგულად იცავს ლენინის საქმეს, კომუნიზმის საქმეს. არ შეიძლება არ გაგახაროს იმან, რომ 25 მილიონი პიონერი მუდამ უფროსების გვერდით დგას. ცდილობს დაეხმაროს მათ ყველა სასარგებლო საქმეში. საბჭოთა ბავშვებს შესანიშნავი ხელმძღვანელი ჰყავთ — ლენინური კომკავშირი, რომელიც, როგორც თავის გამოსვლებში არაერთხელ აღუნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ნორჩთა კომუნისტურ აღზრდაში. საბჭოთა პიონერია ბაძავდა და ბაძავს კომკავშირელებს, კომუნისტებს.

ყველას გახსოვთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ამ ერთ წლის წინათ, აქ, ამ დარბაზში, ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის დელეგატებმა დასახეს საბჭოთა ქვეყნის შემდგომი განვითარების, მისი ძლიერების განმტკიცების, სსრ კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის თანმიმდევრული გაუმჯობესების პროგრამა. ეს პროგრამა წარმატებით სრულდება. საქმიანი განწყობილება სუფევს სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე. თვითეული ქარხანა, მშენებლობა, კოლმეურნეობა ისწრაფვის ახალი მიღწევებით შეეგებოს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ცხოვრების ღირსსახსოვარ მოვლენას — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობასა და გეგმებში ბავშვებისათვის ზრუნვას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და უჭირავს. მუდამ, ყველაზე ძნელ წლებშიც კი, საბჭოთა ბავშვები იღებდნენ ყველაფერს, რაც კი შეეძლო მიეცა მათთვის ჩვენს ხალხს. ლენინის ანდერძი — ყოველივე საუკეთესო ბავშვებს — პრაქტიკულად განხორციელდა საბჭოების ქვეყანაში. და დღეს სიამაყით ვამბობთ, რომ სოციალიზმმა შექმნა მოზარდი თაობის აღზრდის ყველაზე ხელშემწყობი პირობები.

სულ ახლახან მუშები, კოლმეურნეები, მილიონობით საბჭოთა მშრომელნი გამოვიდნენ სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე, და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა მთავრობამ, გაითვალისწინეს რა მშრომელთა სურვილები, გადაწყვიტეს მთელი გამომუშავებული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოახმარონ ჩვენი ქვეყნის ნორჩ მოქალაქეებს. ეს ნიშნავს, რომ შეიქმნება ახალი პიონერული ბანაკები, ბავშვთა სანატორიუმები და კლინიკები, სპორტული ნაგებობანი, პიონერთა სასახლეები. პარტია, საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც არ დაიშურებენ არც ძალღონეს, არც სახსრებს, რათა ჩვენი ბავშვები კიდევ უკეთ ცხოვრობდნენ, რომ ისინი ყოველმხრივ განათლებული, ჯანსაღი და ხალისიანი იზრდებოდნენ. ამას ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის შესახებ.

ძვირფასო ბავშვებო!

ყოველი ხვალე დღეს იწყება. იმისათვის, რომ უკეთესი გახდეს ცხოვრება, ბევრი და კარგად უნდა ვიშრომოთ. ბავშვობიდანვე მოემზადეთ შრომისათვის. შრომა ამშვენებს ადამიანს, გვასწავლის ხალხური სიბრძნე.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## საბჭოთა კავშირში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. ი. ბროზ ტიტოს ოფიციალური ვიზიტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. იოსიპ ბროზ ტიტო საბჭოთა კავშირს ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვევა მიმდინარე წლის ივნისის პირველ ნახევარში.

---

**მთელი თავიანთი საქმეებით ნორჩი პიონერები ერთგულად ასრულებენ საზეიმო ფიცს — მხურვალედ უყვარდეთ სამშობლო, ისწავლონ და იცხოვრონ, როგორც ვლადიმერ ილიას-ძემ გვიანდერძა, როგორც გვასწავლის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.**

სკკპ ცკ-ის დადგენილებიდან „ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50-ე წლისთავის შესახებ".

---

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ბავშვთა აღზრდაში გაწეული დიდი მუშაობისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1972 წ. 18 მაისი.




ჩვენი ცხოვრების მშვენება და სიამაყე.
ზ. მაისურაძისა და ხ. ბილაძის პლაკატი.

# ჩვენო კარგო პატარებო!

### მხურვალე სალამი!

მოგილოცავთ, ძვირფასო პიონერებო, დიდი ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის შექმნის 50 წლისთავს და გისურვებთ კიდევ მეტ წარმატებას სწავლაში და გამარჯვებას ყოველგვარ ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს გიწყობთ გახდეთ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის შესაფერისი მოქალაქენი.

ბედნიერი ხართ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ასეთი ყურადღებითა და მზრუნველობით გეპყრობათ ჩვენი ხელისუფლება და კომუნისტური პარტია, და გეპყრობათ ასე იმიტომ, რომ თქვენი სახით ეზრდება ჩვენს ხალხს საიმედო თაობა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერსპექტივით.

იცოდეთ, მეგობრებო, რომ მხოლოდ სოციალისტურ ქვეყნებშია ამისი მსგავსი ორგანიზაციები, სადაც კომუნისტური პარტია და კომკავშირი ყრმობიდანვე უნერგავენ ახალგაზრდობას სამშობლოსადმი სიყვარულს, შრომისა და გონებრივი განვითარებისადმი მიდრეკილებას.

ბევრმა პიონერმა ისახელა თავი. საკმარისია მოვიგონოთ პიონერი გმირები პავლიკ მოროზოვი, საშა ჩეკალინი ან ვალოდია დუბინინი და ბევრი სხვა, რომელთაც თავი გასწირეს სამშობლო ქვეყნისათვის. ამიტომ არის, რომ ასე გვიყვარს პიონერობა. ამიტომ არის წარუშლელი ჩვენს ცხოვრებაში ეს დიადი თარიღი. ამიტომ არის, რომ ჩვენც, მოხუცნი სიხარულით ვუცქერით ჩვენს ძვირფას ნორჩ თაობას, რადგანაც ვხედავთ, რომ ღირსეული და, ვფიქრობთ, უმჯობესი შემცვლელი გვეზრდება.

აკადემიკოსი
**გ. ახვლედიანი.**

### იზარდე, მწვანე ჯეჯილო!..

მივესალმები და დღესასწაულს ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ბავშვებს — ჩვენს მომავალს, სიხარულს, იმედს. ბავშვებთან მუშაობაში გავატარე მთელი ნახევარი საუკუნე. და ახლა, ამ მოზეიმე ნორჩ ლენინელებს რომ ვუცქერი, ნათლად ვხედავ მათს ხვალინდელ დღეს — დიდებულს, ბედნიერს.

და მოხუცი პედაგოგის სიხარულის ხმა უერთდება პიონერთა საზეიმო ჟრიამულს.

ისწავლეთ, იზარდეთ, იყავით სამშობლოს ღირსეული შვილები!

**ნ. ჯაფარიძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი.

### „პიონერული" ნადნობი

რუსთავში ქართული ფოლადი რომ დაიბადა, იმ დღიდან ჩაეყარა საფუძველი მეტალურგთა და პიონერთა მეგობრობას. გაზაფხულის ყვავილებით პიონერებმა შემოგვაგებეს, როცა რუსთავის ფოლადის პირველი დნობა განვახორციელეთ. მას შემდეგ ორიოდ ათეული წელიწადი გავიდა, მაგრამ ჩვენ, მეტალურგებს, ბევრი რამ ტკბილად მოსაგონარი გვაქვს. პიონერია ჭაბუკური შემართების, ძიების ნამდვილ მაგალითს გვაძლევს. რამდენი კარგი რამ გაკეთდა ჩვენს ქალაქში წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭების ხელით. მახვილგონივრული წამოწყებით გაგვაოცეს ჩვენ, მეტალურგებიც, როცა მათთან ერთად, მათ მიერვე შეგროვილი ჯართით მეგობრული დნობის განხორციელება შემოგვთავაზეს. ამ ნადნობს „პიონერული" ვუწოდეთ და ტრადიციადაც დავამკვიდრეთ, რითაც შემდგომ „საპატიო პიონერთა" რიგებში მიღების მეტად ამაღელვებელი წუთები განვიცადეთ.

პიონერია ორმოცდაათი წლისაა. ამ იუბილეს მივუძღვენით ჩქაროსნული ნადნობი, რომელიც ამ დღეებში პიონერთა მიერ შეგროვებული ჯართით განვახორციელეთ.

**მ. სპანდერაშვილი,**
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

### ჩვენი სიამაყე

დიდია ჩვენი სოფელი. მარტო პიონერი და კომკავშირელი ათასზე მეტია. ყოველ დილას გაზაფხულის ყვავილებივით რომ მოეფინებიან სოფელს, გული სიამით მევსება.

ჩემი ასაკის გამო პიონერთა რიგებში არ ვყოფილვარ. მადლიერმა ხალხმა საკოლმეურნეო მოძრაობის პიონერი მიწოდა. ამ სახელის კმაყოფილი მუდამ ვიქნები.

ნორჩ ლენინელებს არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერიათ ჩვენი ხალხის ისტორიაში, და ბედნიერი მომავალი სწორედ მათ ეკუთვნით. გულით და სულით მინდა მოგილოცოთ სიჭაბუკისა და სიხარულის დღესასწაული.

**ნ. მამაიაშვილი,**
წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

### ოქროს იუბილე

საიუბილეო ორმოცდაათი წელი შეუსრულდა ლენინის სახელობის პიონერულ ორგანიზაციას. საბჭოთა პიონერიის ისტორია განუყოფელია ჩვენი ხალხის გმირული ისტორიისაგან. პიონერიის ნახევარი საუკუნის გზა აღსავსეა პატრიოტიზმის, თავდადების, გმირობის მაგალითებით. ქვეყნის მატიანეში ოქროს ასოებით არის შესული იმ მამაცი თავდადებული პიონერების სახელი, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს, ლენინის დიად საქმეს.

ამ საიუბილეო დღეს ერთხელ კიდევ გავიხსენოთ პარტიზანი პიონერების — საბჭოთა კავშირის გმირების ლიონია გოლიკოვის, ვალია კოტიკის, მარატ კაზეის, ზინა პორტნოვას სახელები, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

ვულოცავ ოცდახუთმილიონიან პიონერიას თავის ოქროს იუბილეს, რათა კვლავ დიდებითა და გმირულად ვლოს სახელოვან წინაპართა ტრადიციების გზით.

**ვლ. ჯანჯღავა,**
გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი.

# უზრუნველვყოთ პირუტყვი დიდყუათიანი საკვებით—სენაჟით

18 მაისს გარდაბნის რაიონში სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობაში, სადაც შენდება სამრეწველო საფუძველზე რძის წარმოების კომპლექსი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებით, გაიმართა თათბირ-სემინარი დიდყუათიანი დაკონსერვებული მწვანე საკვების — სენაჟის ჩადების საკითხზე.

თათბირ-სემინარს დაესწრნენ პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მეცნიერები.

მოხსენება სენაჟის ჩადებისა და გამოყენების ტექნოლოგიის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დ. ნიკურაძემ.

თანამომხსენებლად გააკეთეს: სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მეტრეველმა — სენაჟის ჩადების მექანიზაციის შესახებ, საქართველოს ზოოტექნიურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის კვებისა და საკვების ტექნოლოგიის განყოფილების გამგემ ი. ხუციშვილმა — პირუტყვის კვებაში სენაჟის გამოყენების შესახებ, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ჩხეიძემ — სენაჟის ჩასადებად ტრანშეების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე ვ. გელაშვილი, სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ჯაფარიძე, გარდაბნის რაიაღმასკომის თავმჯდომარე დ. დათუაშვილი, პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე ვ. რევაზიშვილი, გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ქუჩუკაშვილი, მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი დ. სარიშვილი, პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი ი. ულოშვილი.

აღინიშნა, რომ 1972 წელს სენაჟის დამზადების გადიდების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შემდეგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა დიდი მუშაობა ამ დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის. მთელ რიგ რაიონებში მთავრდება ტრანშეების მშენებლობა, იკისრეს ვალდებულებანი სენაჟის ჩადების გეგმების მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ. გარდაბნის რაიონში ვალდებულება იკისრეს დაამზადონ 24 ათასი ტონა სენაჟი გეგმით გათვალისწინებული 7 ათასი ტონის ნაცვლად. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე წითელწყაროს, თეთრიწყაროს, სიღნაღის, გორის, საგარეჯოსა და სხვა რაიონებმა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოყოფილია მრავალწლოვანი ბალახების ნაკვეთები, იქმნება სპეციალური ბრიგადები და რგოლები, მზადდება ტექნიკა ბალახების აღებისა და დაქუცმაცებისათვის, სენაჟის ჩადებისათვის. აღებულია კურსი, რომ ორ-სამ დღეში თვითეული ტრანშეა ავსონ მწვანე მასით.

თათბირ-სემინარზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

თათბირ-სემინარზე იკისრეს ვალდებულება წელს დაამზადონ 50 ათასი ტონა სენაჟი გეგმური 40 ტონის ნაცვლად.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გულდიაშვილი. (საქინფორმი).

# ლენინის ანდერძის ერთგული ვართ!

(დასასრული)

ცხოვრების აზრი და სიხარული შრომაშია, რა უმნიშვნელოც უნდა გეჩვენებოდეთ იგი ერთი შეხედვით. თქვენი დღევანდელი სწავლა — ესეც შრომაა, მძიმე შრომა, რომელიც დიდ შეუპოვრობასა და სიბეჯითეს მოითხოვს. თქვენ ხომ ფართოდ უნდა დაეუფლოთ ცოდნას, რომელიც სულ უფრო სწრაფად იზრდება ჩვენს საუკუნეში — მეცნიერული და ტექნიკური აღმოჩენების საუკუნეში. უფროსებს გვახარებს თქვენი წარმატებანი სწავლაში, თქვენი შრომისმოყვარეობა, ცოდნისმოყვარეობა. თუმცა ზოგჯერ გულს გვწყვეტს ხოლმე, როცა ვხვდებით დაუდევარ მოსწავლეებს, უკადრისებს ან ყოყოჩებს. რა თქმა უნდა თვითეულ სკოლაში, თვითეულ პიონერულ რაზმში გეყოფათ ძალები ასეთი ბავშვების გამოსასწორებლად, ისე მოიქეცით, რომ დღეს ვინც კარგად ვერ სწავლობს, ხვალ უკეთ ისწავლოს. ამ საქმეში თქვენ მუდამ დაგიჭერენ მხარს უფროსი ამხანაგები, პირველ რიგში, თქვენი მზრუნველი მასწავლებლები. ისინი ძალიან ბევრს აკეთებენ იმისათვის, რომ თქვენ შეგაიარაღონ მტკიცე ცოდნით, დაგეხმარონ გახდეთ ნამდვილი, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანები.

დღევანდელი პიონერია ამაყობს უფროს თაობათა გმირობით და ისწრაფვის მიბაძოს მათ. წითელ კვალმაძიებელთა ათასობით რაზმი მიდის მამების კვალზე, სწავლობს საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, შრომითსა და საბრძოლო მემკვიდრეობას. ეს მისწრაფება — შეიცნონ და შეითვისონ მოზრდილთა გამოცდილება — დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ადამიანების უფროსი და უმცროსი თაობების ურღვევ ერთიანობას. იგი ჩვენი დიადი საქმის უკვდავების საწინდარია.

დღევანდელ შეკრებაზე მოვიდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის პიონერები, სხვადასხვა ეროვნების ბავშვები. ისე როგორც გამადიდებელი შუშა კრებს მზის სხივებს, დღევანდელი პიონერთა დღესასწაულიც ასახავს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა გვიანდერძა თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ამ მეგობრობას.

ამ შეკრებას ესწრებიან აგრეთვე სოციალისტური და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების ბავშვთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაც მოწმობს, რომ სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ბავშვების მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბავშვებთან. არ არის ამ ქვეყნად არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა, მშვიდობისა და ომის ძალებს არც ერთი შეტაკება, რასაც არ ეხმაურებოდეს საბჭოთა ბავშვების მხურვალე და კეთილი გული.

ერთ-ერთ პიონერულ სიმღერაში არის ასეთი კარგი სიტყვები: „რასაც ერთი ვერ შეძლებს, ყველანი ერთად შევძლებთ". მეგობრობა, ამხანაგობა, კოლექტივიზმი — კომუნიზმის მშენებლის ეს აუცილებელი თვისებები პიონერთა რაზმებში იბადება და იზრდება. გაუფრთხილდით ბავშვებო თქვენი ამხანაგების მეგობრობას, ისწავლეთ თქვენი სხქციელი შეუფარდოთ კოლექტივის აზრსა და მოთხოვნებს. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ საერთო ღონისძიებებით, მილიონთა გონებითა და ხელით შეიძლება ჩვენი ნათელი მომავლის აშენება.

საბჭოთა ადამიანებისათვის მაღალი კომუნისტური თვისებების, შრომისმოყვარეობისა და კოლექტივიზმის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჩანერგვაში ძალიან დიდ როლს ასრულებენ პიონერული ორგანიზაცია, მისი მრავალი ათასი რაზმეული და რაზმი. ისინი არიან კარგი ორგანიზატორები, შეუძლიათ წარმართონ ბავშვების აქტივობა და ინიციატივა სასარგებლო და საჭირო საქმეებისათვის. პიონერული ორგანიზაციის ეს მუშაობა საბჭოთა ხალხის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მაღალ შეფასებას იმსახურებს.

და დღეს, ამ საზეიმო შეკრებაზე ჩემთვის სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია დაჯილდოებულია სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება, რომელშიც ნათქვამია:

„ლენინის ანდერძის სულისკვეთებით ბავშვების აღზრდაში გაწეული დიდი მუშაობისათვის და შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია ლენინის ორდენით".

ეს უკვე მეორე მაღალი ჯილდო ამშვენებს პიონერულ დროშას. იგი სამართლიანად ეკუთვნის მილიონობით საბჭოთა ადამიანს, რომლებმაც სანამ შეგნებულ ცხოვრებას შეუდგებოდნენ, განუმეორებელი პიონერული წლები გაიარეს. როგორ არ გავიხსენოთ აქ პირველი პიონერები, რომლებიც უფროსებიც მხარდამხარ იბრძოდნენ რევოლუციურ ბარიკადებზე, ჩვენი სახელოვანი გოგონები და ბიჭუნები, რომლებიც გვეხმარებოდნენ დანგრეულის აღდგენაში, უწიგნურობის ლიკვიდაციაში, კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის მშენებლობაში. დღეს უკვე საშუალო ასაკს მიღწეული არიან სამამულო ომის დროინდელი პიონერები. პატივი და დიდება თქვენ, ნორჩო მზვერავებო და მამაცო პარტიზანებო, ჩვენი გმირული ზურგის ახალგაზრდა მშრომელებო, რომლებმაც იკისრეთ მამათა მძიმე შრომა! სულითა და გულით გილოცავთ, სხვადასხვა წლების პიონერებს, ყველას, ვისთვისაც წითელი ყელსახვევი გახდა საგზური კომკავშირული ახალგაზრდობისა, საგზური დიდი ცხოვრებისა, რომელიც აღსავსეა ხალხის საკეთილდღეო შრომითა და ბრძოლით.

ძვირფასო ბავშვებო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ დიდი ჯილდო. ჩვენ გვიყვარხართ და გვწამს, რომ თქვენ, ჩვენი ცვლა, მუდამ გაახარებთ სამშობლოს, პარტიას, ხალხს ჩინებული სწავლითა და კარგი, სასარგებლო საქმეებით.

გისურვებთ გაიზარდოთ მხნენი, შრომისმოყვარენი, კარგად ისწავლოთ, მგზნებარედ გიყვარდეთ სამშობლო, განამტკიცებდეთ პლანეტის ყველა ბავშვის მეგობრობას ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. იყო ნორჩი ლენინელი — ეს არა მარტო საპატიო, არამედ პასუხსაგები საქმეც არის. მუდამ გახსოვდეთ ეს. ეცადეთ ჩაინერგოთ კომუნისტის საუკეთესო თვისებები, დღენიადაგ ისწავლეთ პარტიისა და კომკავშირისაგან!

ნორჩო ლენინელებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

* * *

მოწოდების პასუხად პიონერები ერთსულოვნად უპასუხებენ: „მზად ვართ!".

ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა დიდი ყურადღებით, მოისმინეს. გამოსვლის დროს არაერთგზის გაისმა ტაში, ერთსულოვანი შეძახილები „კომუნისტურ პარტიას — დიდება!", „ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — ვაშა!".

ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ მაღალი ჯილდო მიაბნია პიონერიის წითელ დროშას.

— ამ საზეიმო და სასიხარულო წუთებში, — ამბობს მთელი საბჭოთა პიონერიის სახელით ხლავა ვე- [illegible] სამშობლოს, [illegible] პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი.

[illegible]
[illegible] საბჭოთა,
უფროსების ღირსეული ცვლა ვიქნებით,
განვამტკიცებთ ძმურ მეგობრობას,
ვიცხოვრებთ, როგორც გვიანდერძა ლენინმა!

საზეიმო პიონერული შეკრების მონაწილენი ერთხმად გაიძახიან: „დიდება კომუნისტურ პარტიას!", „დიდება საბჭოთა ხალხს!", „დიდება, დიდება, დიდება!".

კრემლის ყრილობათა სასახლის ავანსცენაზე გამოდიან ნორჩი მესაყვირენი. „ორლიონოკ, ორლიონოკ" — მღერიან მათი ვერცხლისფერი საყვირები და გვაუწყებენ საზეიმო კონცერტის დაწყებას. პროჟექტორთა სხივები ამუქებენ უზარმაზარ პიონერულ ნიშანს. ამ პიონერული ნიშნით სალამოზე გამოვიდა ათასობით „მსახიობი" — მრავალი პიონერთა სასახლის, კლუბისა და კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების წრეების აღსაზრდელები.

მაყურებლებმა ამ საღამოს „იმოგზაურეს" სამშობლოს ყოველ კუთხეში. მათ ნახეს კორიაკთა ნადირობა და დოლი ყირგიზეთის ველებში, იყვნენ მოსწავლეთა მეჯლისზე ბალტიისპირეთში და რთველზე ამიერკავკასიაში, მოისმინეს უკრაინული ბანდურა და რუსეთის გულშიჩამწვდომი სიმღერები.

დასასრულ კონცერტის ყველა მონაწილემ შთაგონებით იმღერა ი. დუნაევსკის „სიმღერა სამშობლოზე". კრემლის თაღებში კვლავ და კვლავ ქუხდა ტაში, გაისმოდა შეძახილები — გამარჯვებას უსურვებდნენ ჩვენს პარტიას და მის ერთგულ თანაშემწეებს — კომკავშირსა და პიონერიას! (საკდესი).

---

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

## ლითონის დაზოგვა სახელმწიფო საქმეა

მეცხრე ხუთწლედში გათვალისწინებულია დაიზოგოს 18-20 პროცენტით შავი ლითონების ნაგლინი მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში, 9-11 პროცენტი — კაპიტალურ მშენებლობაში. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა გაითვალისწინა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ინდუსტრიის საფუძვლის — ლითონის ყაირათიანად ხარჯვას, მის უაღრესად ეფექტიან გამოყენებას, და დაავალა სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო და საქალაქო კომიტეტებს აპრილ-ივნისში მასობრივად შეამოწმონ სახალხო მეურნეობაში ლითონის დაზოგვის დავალებათა და ღონისძიებათა შესრულება.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარ მომარაგებასთან და რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად მოაწყო საინსტრუქტაჟო თათბირები, რომლებსაც, გარდა აღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა, დაესწრნენ რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები, ქალაქ თბილისის ხამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

თათბირზე განიხილეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს საწარმოებში და მშენებლობებზე ლითონის დაზოგვის სამუშაოთა მიმდინარეობის მასობრივი შემოწმების მოწყობას. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტთან შექმნილია შავი ლითონების გამოყენების მასობრივი შემოწმების ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბი (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კ. შავიშვილი). შემოწმების ბრიგადებში შევიდნენ სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, სატრანსპორტო ორგანიზაციათა სახალხო კონტროლის ჯგუფები, სპეციალისტები, რაციონალიზატორები და გამომგონებლები, პროფკავშირული ორგანიზაციების „კომკავშირული პროჟექტორის" შტაბებისა და რაზმების წარმომადგენლები.

შემოწმება უკვე დაიწყო. შემოწმების დროს ყურადღება ეთმობა ლითონის დაზოგვის უზრუნველყოფას როგორც მიმდინარე წელს, ისე მომდევნო წლებში იმ გზით, რომ შემცირდეს დანაკარგები წარმოებაში და მშენებლობაზე, შემცირდეს ნაწარმის ერთეულზე ლითონის ხარჯვის ნორმები, დაინერგოს პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, შეიცვალოს ლითონი სხვა მასალებით, ფართოდ იქნეს გამოყენებული სამასალე ლითონნარჩენები პროდუქციის გამოსაშვებად. საწარმოებსა და ორგანიზაციებში ავლენენ აღურიცხავ ლითონს მისი ზედმეტი მარაგის შესამცირებლად. შემოწმების ბრიგადები ხელს უწყობენ ბრუნვის დაჩქარებასა და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების ნორმატივებამდე აყვანას. ბრიგადების ყურადღების საგანია აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორიც არის ლითონის რაციონალური გამოყენების გაუმჯობესება ლითონკონსტრუქციებისა და რკინაბეტონის დამზადების დროს, პროგრესული და ზემტკიცე ფოლადების ფართოდ გამოყენება.

მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებში ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება ეკონომიურ სახეობათა ლითონნავლინის ნომენკლატურის გაფართოებისა და მისი წარმოების გადიდების ღონისძიებანი, ზოდების ხარისხის გაუმჯობესების, გახურების დროს ნამწვის შემცირების, მინუსებიანი მოსარგისის მქონე პროდუქციის გამოშვების გაფართოების გზით ნაგლინისათვის, მილებისა და ლითონის ნაწარმისათვის საჭირო ლითონის ხარჯვის შემცირების დავალებანი. ავლენენ დადგენილი გეგმებისა და დავალებების გადამეტებით ლითონის პროდუქციის გამოშვების იმ გზით გადიდების რეზერვებს, რომ უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრენი, შეამცირონ მოწყობილობის მოცდენა, განახორციელონ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, წუნით გამოწვეული დანაკარგების შემცირება, აგრეთვე საკუთარი საჭიროებისათვის ლითონის მოხმარების შემცირების სხვა ღონისძიებანი.

შემოწმების დროს გამოავლინენ და შეძლებისდაგვარად გამოიყენებენ შავი ლითონების ჯართის დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულების რეზერვებს.

თათბირებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი ბრიგადებს შემოწმების უკეთ ორგანიზაციაში. (საქინფორმი).

## ხანგრძლივი შრომისათვის

17 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ მასწავლებლები, ახალგაზრდობის დამრიგებლები, რედაქციებისა და გამომცემლობების მუშაკები, რესპუბლიკის პიონერული მოძრაობის ვეტერანები, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭათ საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლისა და რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებანი, აგრეთვე დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ყ. ქვაჭაძემ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ დაჯილდოებულთ გადასცა საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები და საპატიო სიგელები.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ წულუკიძის მეორე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. გ. მამარდაშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქციის რედაქტორი რ. ნ. გამსახურდია, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და პირობა დადეს, რომ მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას, მთელ თავიანთ გამოცდილებას მოახმარენ მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდას.

დაჯილდოებულთ მიულოცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჩ. ი. პატიაშვილმა.

დაჯილდოებულთ გულთბილად მიესალმა და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავი მიულოცა გ. ს. ძოწენიძემ, რომელმაც წარმატებანი უსურვა მათ კეთილშობილურ საქმიანობაში. (საქინფორმი).

## საბჭოთა ადვოკატურის 50 წლისთავი

17 მაისს თბილისში გაიმართა საბჭოთა ადვოკატურის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოშაძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა გზა განვლო საბჭოთა ადვოკატურამ.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ გ. ბიწაძემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ი. ბურჯანიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თ. ცაგურიამ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქ. კეთილაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა ს. ჯორბენაძემ, თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის ინჟინერ-ტექნოლოგმა მ ქანაშვილმა, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" მთავარმა რედაქტორმა ო. კაციტაძემ.

კრებას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. ბარანაძე. (საქინფორმი).

---

# მსოფლიო დღეს

ბონი — **დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი**

18 მაისი. (საკდესის კორ.). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში გაიმართა საბოლოო კამათი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ კანონპროექტების გამო.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სახელით განცხადება გააკეთა დეპუტატმა კ. შმიდმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან მშვიდობის პოლიტიკაში შეტანილი წვლილია, ხელს უწყობენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თანამშრომლობის განვითარებას. ისინი წარმოადგენენ წანამძღვარს ევროპის სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა დადებისათვის. ხელშეკრულებები, აღნიშნა ორატორმა, ამავე დროს ქმნიან „კარგ საწყის ბაზას მშვიდობიანი განვითარებისათვის ევროპაში და ვადამწყვეტ წანამძღვარს ჩვენს კონტინენტზე დაძაბულობის შემცირებისათვის".

დადო რა ხელშეკრულება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, თქვა შმიდმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საქვეყნოდ არ ხდის ოდერ-ნეისეს საზღვარს.

ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შემდეგ, განაცხადა შმიდმა, ძალაში შევა ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სატრანსპორტო ხელშეკრულება, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაუმჯობესებას ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ მიშნიკმა ხელშეკრულებები დაახასიათა როგორც დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი.

მიშნიკმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე ეხება სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემების სახელმწიფოებში მცხოვრებ ხალხთა შორის დაბრკოლებათა ლიკვიდაციას. მისი თქმით, ორივე ხელშეკრულება ხელს შეუწყობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემდგომ დაახლოებას.

ყოფილმა კანცლერმა კ. კიზინგერმა (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციამ გადაწყვიტა თავი შეიკავოს რატიფიკაციის შესახებ კანონპროექტების კენჭისყრის დროს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან ხელს უწყობენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას. ეს ხელშეკრულებანი სახავენ ხალხთა ურთიერთგაგების გზას და ხელს უწყობენ მსოფლიო ომის საშინელებათა აღმოფხვრას.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახლა ამოცანა ის არის, რომ განმტკიცდეს მშვიდობა ევროპის კონტინენტზე. ამ მიზანს ისახავენ მოსკოვსა და ვარშავაში დადებული ხელშეკრულებანი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, თქვა მან, მზად არის კვლავაც ეცადოს ურთიერთობის მოწესრიგებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

შეელმა სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციამ წინასწარ მიიღო გადაწყვეტილება თავი შეიკავოს ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ კანონპროექტების კენჭისყრის დროს.

შემდეგ ბუნდესტაგში გაიმართა კენჭისყრა. სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება დაამტკიცეს 248 ხმით. წინააღმდეგ ხმა მისცა 10 დეპუტატმა. კენჭისყრის დროს თავი შეიკავა 238 დეპუტატმა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება დაამტკიცეს 248 ხმით. წინააღმდეგ ხმა მისცა 17 დეპუტატმა, თავი შეიკავა 230 დეპუტატმა.

შემდეგ ბუნდესტაგმა მიიღო კოალიციური პარტიებისა და ოპოზიციის მიერ შემუშავებული ერთობლივი რეზოლუცია მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებათა გამო. ამ რეზოლუციას ხმა მისცა 491 დეპუტატმა, თავი შეიკავა 5 დეპუტატმა.

რატიფიკაციის შემდგომი პროცედურა ითვალისწინებს მიღებულ კანონპროექტთა განხილვას მეორე პალატაში — ბუნდესრატში.

18 მაისი. (საკდესი). ფედერალურმა კანცლერმა ვ. ბრანდტმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნდესტაგის მიერ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას. დაიწყო ახალი ეტაპი ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში, თქვა მან რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას. მძიმე და მწვავე ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავადექით გონივრულ გზას, რომელსაც მომავლისაკენ მივყავართ.

როგორც ვ. ბრანდტმა აღნიშნა, სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულებანი დასაბამს აძლევენ ახალ ეტაპს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშვიდობიან თანაარსებობაში.

ნაირობი

### მდგომარეობა მადაგასკარში

18 მაისი. (საკდესი). ტანანარივედან მიღებული ცნობების თანახმად, შინაპოლიტიკური კრიზისი, რომელიც სტუდენტთა მღელვარებისა და პოლიციის მიერ გაფიცული ახალგაზრდობის დასჯის შედეგად წარმოიშვა, ჭიანურდება. პრეზიდენტის სასახლეში არ წყდება თათბირები რესპუბლიკის პრეზიდენტ ცირანანასა და მის მინისტრებს შორის.

მიმომხილველთა აზრით, გამორიცხული არ არის ახლანდელი კაბინეტის გადადგომისა და ახლის შედგენის შესაძლებლობა. ქვეყანაში მღელვარების გაძლიერებით შეშფოთებული მალაგასიელი ხელისუფალნი მთელ რიგ დათმობებზე წავიდნენ. კერძოდ, გაიხსნა ტანანარივეს უნივერსიტეტი, რომელიც ხელისუფლებმა დახურეს სტუდენტთა მღელვარების პირველ დღეებში. პოლიციის მიერ დაპატიმრებულ სტუდენტთა დიდი ნაწილი გაათავისუფლეს.

მაგრამ მალაგასიის დედაქალაქის ქუჩებში დღეს გრძელდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობისა და მშრომელთა მანიფესტაციები. ქალაქის რატუშასთან გამართულ მიტინგზე სტუდენტთა მოძრაობის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქვეყნის საზოგადოებრიობა მოითხოვს კარდინალურ ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს.

### წყალდიდობა ირანში

თეირანი, 18 მაისი. (საკდესი). კოკისპირულმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვიეს ირანის ჩრდილოეთ რაიონებში. წყალმა დაფარა მრავალი ქალაქი და სოფელი, წაიღო ხიდები, დაანგრია რკინიგზის ხაზი თეირანსა და თავრიზს შორის. ათასობით სოფლის მცხოვრები მთებში გაიხიზნა, რათა თავი დაეღწიათ წყალდიდობას.



სან-ხოსეში (კალიფორნიის შტატი) გრძელდება ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის გასამართლება. სასამართლოში გამოვიდა ანჯელა დევისის ადვოკატი ლ. ბრენტონი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრალდების მოწმეთა მრავალი „ჩვენების" მიუხედავად, დანაშაული ვერ დაუმტკიცდა განსასჯელს.

ბრენტონმა მოითხოვა მოუხსნან ანჯელა დევისს ყველა წაყენებული ბრალდება და შეწყვიტონ კომუნისტის გასამართლება.

სურათზე: ა. დევისი თავის ადვოკატთან ერთად სასამართლოში.

იუპის ფოტო.

კაირო — **ეგვიპტის სახელმწიფო მინისტრის განცხადება**

18 მაისი. (საკდესი). ისრაელის სამხედრო წარმომადგენლის იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ ეგვიპტის ორმა თვითმფრინავმა 16 მაისს გადაუფრინა სინას ნახევარკუნძულის ტერიტორიას, კერძოდ შარმ ალ-შეიხის რაიონს, ეგვიპტის ინფორმაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრმა მუჰამედ ჰასან ეზ-ზაიათმა უცხოელ კორესპონდენტებს განუცხადა:

„ჩვენი ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია ისრაელის მიერ, და, მაშასადამე, ჩვენ ომის მდგომარეობაში ვართ ისრაელთან. გასაკვირი როდია, რომ ამ პირობებში ჩვენი შეიარაღებული ძალები ზვერავენ ოკუპირებულ ტერიტორიებს. უნდა მოველოდეთ, და ეს სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ამ მიმართულებით მანამ, სანამ ჩვენი დაუცხრომელი მეცადინეობა არ გამოიწვევს ომის მდგომარეობის დამთავრებასა და ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციის ლიკვიდაციას".

## პატრიოტები განაგრძობენ შეტევებს

ნიუ-იორკი. 18 მაისი. (საკდესი). ძლიერმა აფეთქებამ შეარყია დღეს სამხრეთ ვიეტნამის ქალაქი პლეიკუ და მისი მიდამოები. განთავისუფლების ჯარებმა ააფეთქეს საბრძოლო მასალების დიდი საწყობი ქალაქის გარეუბანში. ამ საწყობში შენახული საარტილერიო ყუმბარები რამდენიმე საათის განმავლობაში ფეთქდებოდა.

პლეიკუს ჩრდილოეთით განთავისუფლების ძალების არტილერია კვლავ უშენს ცეცხლს კონტუმის სამხედრო აეროდრომს. წუხელ იქ მწყობრიდან გამოიყვანეს ორი თვითმფრინავი და დააზიანეს სამი ვერტმფრენი.

შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს ქალაქ ჰიუეს გარშემო. უშიშ პატრიოტებმა შეუტიეს მოწინააღმდეგეს და ააფეთქეს ხიდი № 1 სტრატეგიულ გზაზე, რითაც ჰიუე მოსწყვიტეს დანანგს. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების საარტილერიო ქვედანაყოფები ცეცხლს უშენდნენ საიგონის ჯარების გამაგრებულ პოზიციებს ჰიუეს ჩრდილოეთით.

ბრძოლები გრძელდება აგრეთვე ანლოკის რაიონში.

ამერიკულმა მძიმე „ბ-52" ბომბდამშენებმა წუხელ 19 რეიდი მოახდინეს და ბომბები ჩამოყარეს განთავისუფლებულ რაიონებში სამხრეთ ვიეტნამის კუნგჩისა და თხიათხიენის პროვინციებში, აგრეთვე ქალაქების ანლოკისა და კონტუმის მიდამოებში.

პარიზი. 18 მაისი. (საკდესი). გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა წუხელ პნომპენის შემოგარენში. კამბოჯელმა პატრიოტებმა შეუტიეს პნომპენის ჯარების თავდაცვის ხაზს რამდენიმე კილომეტრზე დედაქალაქის სამხრეთით.

ინტენსიური საომარი მოქმედების ასპარეზი კვლავ არის ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონები, სადაც განთავისუფლების ძალები მტკიცედ ინარჩუნებენ კონტროლს პნომპენ-საიგონის გზაზე. პნომპენის ჯარების ცდები — განდევნონ პატრიოტები დაკავებული პოზიციებიდან — მარცხით მთავრდება.

ჰანოი. 18 მაისი. (საკდესი). როგორც კაოსან პატეტ ლაოს სააგენტომ გადმოსცა, ლაოსის პატრიოტულმა ძალებმა ჩამოაგდეს და დააზიანეს მოწინააღმდეგის სულ 2.364 თვითმფრინავი და ვერტმფრენი, ამერიკის ავიაცია ლაოსის ტერიტორიას თავს ესხმის 1964 წლის მაისიდან.

## თეთრი სახლის ცნობა

ვაშინგტონი. 17 მაისი. (საკდესი). პრეზიდენტი რ. ნიქსონი ახლა იმყოფება კემპ-დევიდში, სადაც ემზადება მოსკოვს გასამგზავრებლად. ეს განაცხადა პრეს-კონფერენციაზე თეთრი სახლის პრესის საკითხთა წარმომადგენელმა.

ვაშინგტონი. 18 მაისი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. ნიქსონს ეახლება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

ჯგუფში შედიან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი, პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში გ. კისინჯერი, განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორი ჯ. სმიტი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბიმი და სხვა ოფიციალური პირნი.

ვიზიტის გასაშუქებლად პრეზიდენტთან ერთად გაემგზავრება 182 კორესპონდენტი.

ნიუ-იორკი — **ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის**

18 მაისი. (საკდესი). მეტალურგიის დარგის ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა პროფესორმა ალენ ფლენიგენმა აზრი გამოთქვა, რომ უნდა გაუმჯობესდეს ურთიერთობა სსრ კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მან აღნიშნა, რომ „თვით ცხოვრება მოითხოვს არა მარტო შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობიან თანაარსებობას, არამედ მათ შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასაც".

„სოციალურ-ეკონომიური განსხვავება არ უნდა იყოს დაუძლეველი დაბრკოლება ორი ქვეყნის ურთიერთობის გაჯანსაღების გზაზე, მით უმეტეს, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაფართოება მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში უეჭველად შეესაბამება როგორც ამერიკელი ხალხის, ისევე საბჭოთა ხალხის ინტერესებს".

„საბჭოთა კავშირს პირველად ჯერ კიდევ 1938 წელს ვეწვიე, — თქვა შემდეგ ა. ფლენიგენმა. — სსრ კავშირში ამასწინანდელ მოგზაურობათა დროს პირადად დავრწმუნდი, თუ რა უდიდესი წარმატებები მოუპოვებია ქვეყანას უკანასკნელ ათწლეულთა მანძილზე. აბსოლუტურად მჯერა, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას მეტალურგიის დარგში ჩინებული პერსპექტივები აქვს.

ასეთივე ხელსაყრელი შესაძლებლობები არის, უეჭველია, ბევრ სხვა სფეროშიც, და ეს შესაძლებლობანი შეიძლება გამოვიყენოთ და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ".

ვაშინგტონი — **ბრძოლა მწვავდება**

18 მაისი. (საკდესის კორ.). შეერთებულ შტატებში გაიმართა პირველადი არჩევნების მორიგი რაუნდი, სადაც ორი პოლიტიკური პარტიის — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლები იბრძვიან პრეზიდენტის პოსტზე თავიანთი კანდიდატურების დასასახელებლად. პირველადი არჩევნები გაიმართა ორ შტატში — მერილენდისა და მიჩიგანის შტატებში.

ისევე როგორც სხვა შტატებში, უმეტესი ინტერესი გამოიწვია ბრძოლამ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს შორის, რადგან რესპუბლიკურ პარტიაში პრეზიდენტ ნიქსონს პრაქტიკულად არა ჰყავს მეტოქენი და გამარჯვება უკვე წინასწარვე იყო გადაწყვეტილი.

არჩევნების შედეგები როგორც მერილენდში, ისე მიჩიგანში სრულიადაც არა ყოფილა მოულოდნელი. როგორც წინასწარმეტყველებდნენ, გამარჯვება ორივე შტატში მოიპოვა ალაბამის გუბერნატორმა ჯ. უოლესმა, რეაქციულმა მოღვაწემ, რომელიც თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის იყენებს რასობრივ ცრუ შეხედულებებს.

წინასწარი მონაცემებით, მერილენდის შტატში უოლესმა მოაგროვა ხმების 40 პროცენტი, ჰემფრიმ — 27 პროცენტი, მაკგოვერნმა — 22 პროცენტი. მიჩიგანის შტატში უოლესს ხმა მისცა ამომრჩეველთა 50 პროცენტმა, ჰემფრის — 17 პროცენტმა, მაკგოვერნს — 26 პროცენტმა.

წინა საარჩევნო ბრძოლა დემოკრატიულ პარტიაში დღითიდღე მწვავდება. იგი აპოგეას მიაღწევს, როცა პირველადი არჩევნები ივნისის დამდეგს გაიმართება ქვეყნის უდიდეს შტატებში — კალიფორნიასა და ნიუ-იორკში.

მიმომხილველთა აზრით, ახლა შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ დემოკრატიული პარტიის წამყვანი კანდიდატებიდან ვინ გახდება ფავორიტი პირველადი პრეზიდენტის არჩევნებში.

ლიდერობაზე კვლავინდებურად პრეტენზიას აცხადებს სამი პოლიტიკური მოღვაწე: მაკგოვერნი, ჰემფრი და უოლესი, რომელიც, მასზე თავდასხმის მიუხედავად, აპირებს ბრძოლის განგრძობას.

## ს. ოლშოვსკი და რ. ფრელეკი მოსკოვში

16 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი. მასთან ერთად ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე რ. ფრელეკი.

ამავე დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს შეხვედრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ს. ოლშოვსკისთან. საუბრის დროს, რომელმაც ძმურ, გულითად ატმოსფეროში ჩაიარა, მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის ევროპის უშიშროებისა და სრულიად ევროპის თათბირის მომზადების საკითხებზე. განიხილეს აგრეთვე სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ორმხრივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხები.

გამართულმა აზრთა გაზიარებამ სრული ურთიერთგაგების პირობებში კვლავ დაადასტურა ორივე მხარის შეხედულებათა და პოზიციათა ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე.

პოლონელი მეგობრები შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. თ. კატუშევს.

17 მაისს ს. ოლშოვსკი და რ. ფრელეკი ვარშავაში გაემგზავრნენ. (საკდესი).

## საპატიო სტუმარი მოძმე ჩეხოსლოვაკიიდან

სოხუმი, 17 მაისი. (საქინფორმის კორ.). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუდვიკ სვობოდა, რომელიც დასასვენებლად იმყოფება ჩვენს ქვეყანაში, ეწვია აფხაზეთს. იგი იყო კურორტ გაგრაში, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში, გუდაუთის ჩაის ფაბრიკაში. გულთბილად შეხვდნენ მას სასოფლო-სამეურნეო არტელ „დურიფშის" კოლმეურნეები, რომლებმაც მაისის ყვავილთა თაიგულები მიართვეს ლ. სვობოდასა და მის მეუღლეს. პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები, სადაც ამ დღეებში ჩაის კრეფენ „საქართველო" მანქანებით.

სოციალისტური შრომის გმირმა, უხუცესმა კოლმეურნემ თემურ თარბამ საუზმეზე მიიწვია შინ საპატიო სტუმარი. პრეზიდენტს წარუდგინეს სოფლის უხუცესი მცხოვრებნი.

კოლმეურნეები მხურვალედ მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეთაურს, უსურვეს მას ჯანმრთელობა და აფხაზური დღეგრძელობა. დურიფშელებს რომ გამოეთხოვა, ლ. სვობოდამ თქვა, მთელი სიცოცხლის მანძილზე დამამახსოვრდება ეს გულითადი მეგობრული შეხვედრაო.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს მოგზაურობის დროს ახლდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ო. კობახია.

## ხელშეკრულება ძალაში შევიდა

18 მაისს მოსკოვში სსრ კავშირის მთავრობას დეპოზიტარმა სახელმწიფოებმა: საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა შესანახად ჩააბარეს ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები. ამ დღიდან ხელშეკრულება ძალაში შევიდა. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლამაზი ყვავილები

## ჩვენი მომავალი

ნათელა ლალიაძე,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაცია ზეიმობს თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

პიონერული ორგანიზაციის ისტორია საბჭოთა ქვეყნის, მისი ხალხის, ჩვენი მამების სიჭაბუკეა.

იგი წარმოიშვა, როგორც ორგანიზაცია, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი, პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მას უნდა ესწავლებინა ჩვენი ბავშვებისათვის რევოლუციური ოპტიმიზმი, კომუნისტური რწმენა, უფროსი თაობის პატრიოტული ენთუზიაზმი.

ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. „ბავშვთა ორგანიზაცია კომუნარების აღზრდის საუკეთესო გზაა", ამბობდა იგი. მისი პირადი ინიციატივით და მითითებით იქნა მიღებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე რთულ წლებში დეკრეტები, რომლებმაც აკრძალეს მცირეწლოვანთა შრომა, დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი არასრულწლოვანთა შორის მუშაობის გაშლისათვის.

პირველი პიონერული რაზმების შექმნას, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის შემდგომ განვითარებას, მის წინსვლას ამაგი დასდო ვ. ი. ლენინის უახლოესმა მეგობარმა და თანამებრძოლმა ნ. კრუპსკაიამ. 1924 წლიდან ჩვენი ბავშვების პიონერული ორგანიზაცია ამაყად ატარებს ვ. ი. ლენინის სახელს.

კომუნისტების, კომკავშირელების და ყველაზე ნორჩი პროლეტარების თაობათა ერთიანობაში ხედავდა ვ. ი. ლენინი რევოლუციის წინსვლის მტკიცე საწინდარს. „სოციალისტური საზოგადოების აშენება, — ამბობდა იგი, — უტოპია როდია. ჩვენზე უკეთ მას ჩვენი ბავშვები ააშენებენ".

ბავშვთა მასობრივ კომუნისტურ მოძრაობას 1921 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესმა ჩაუყარა საფუძველი, ხოლო 1922 წლიდან კომკავშირი პარტიის დავალებით ჩვენს ქვეყანაში იწყებს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით 1922 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოში ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შექმნის საკითხის მომზადება. ჩატარებული მუშაობის შედეგად საქართველოში, კერძოდ თბილისში, ქარხნებთან, სახელოსნოებთან, კლუბებთან იქმნება პიონერული კოლექტივები. ცოტა მოგვიანებით პიონერული რაზმები იქმნება ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში. პიონერული რაზმეულების საწარმოებთან შექმნა გამოწვეული იყო იმით, რომ ამ პერიოდში სკოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა გადაეწყვიტა პიონერული მოძრაობის სერიოზული ამოცანები. პიონერული რაზმების საწარმოებთან ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მუშათა კლასთან, მის იდეურ პლატფორმასთან პიონერული ორგანიზაციის სიახლოვეს აღასტურებდა.

საქართველოში პიონერული ორგანიზაციისათვის დახმარების გაწევის მიზნით პარტიული და კომკავშირული უჯრედები პიონერულ კოლექტივებზე ამაგრებდნენ პარტიულ და კომკავშირულ მუშაკებს. პირად მაგალითს უჩვენებდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები — სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, მამია და მარიამ ორახელაშვილები, შალვა ელიავა, გაიოზ დევდარიანი და სხვები. მათი ინიციატივით პიონერულ კლუბებს გადაეცა საუკეთესო ბინები, შეიქმნა უდედმამოდ დარჩენილი ბავშვებისათვის საბავშვო სახლები კოჯორში, მანგლისში. გადაწყდა ბევრი საკითხი, დაკავშირებული პიონერულ მუშაკთა კადრების მომზადებასთან. ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციაში წარმატებით მუშაობას ხელი შეუწყო ჩვენი რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, კერძოდ ბავშვთა მასობრივი ღონისძიებების დაფინანსებამ, საბავშვო ლიტერატურის გამოცემის ზრდამ, ბავშვთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ გაწეულმა ბრძოლამ, ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობასთან განათლების მუშაკთა დაახლოებამ.

მარტო 1922-1924 წლებში ჩვენს ქვეყანაში მიღებულ იქნა ექვსი მნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, რომლებშიც ისახებოდა პიონერული ორგანიზაციის მოღვაწეობის სხვადასხვა საკითხები. რკპ(ბ) XII და XIII ყრილობების რეზოლუციებში ერთხელ კიდევ იყო ხაზგასმული პარტიული ორგანიზაციების როლი პიონერული მოძრაობის სრულყოფაში, პიონერული რაზმების მუშაობის გაუმჯობესების საშუალებები სოფლად. პიონერული მოძრაობის თეორიის და პრაქტიკის განვითარებაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საკავშირო კომკავშირის IV, V და VI ყრილობების გადაწყვეტილებებმა.

ასეთი ზრუნვის პასუხად, პიონერული ორგანიზაცია ყოველმხრივ ეხმარებოდა პარტიას და კომკავშირს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ახალი ცხოვრების შექმნის საქმეში. თუ 1930 წლის დამლევისათვის ჩვენს რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინრობა ძირითადად ლიკვიდირებული იყო, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი პიონერებმაც შეიტანეს.

პიონერები აქტიურად მონაწილეობდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ეხმარებოდნენ უფროსებს ჩაის პლანტაციების, ბაღ-ვენახების გაშენებაში, არხების გაწმენდის, სახლების მშენებლობის საქმეში.

30-იანი წლებიდან მოყოლებული პიონერული ორგანიზაციის მუშაობის ცენტრი თანდათან ხდება სკოლა. საყოველთაო სავალდებულო ოთხწლიანმა განათლებამ, ჩვენი ქვეყნისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში მნიშვნელოვანმა ამოცანებმა, პიონერული ორგანიზაციის, თვითეული პიონერის წინაშე დააყენა წარჩინებითი სწავლის ამოცანა. სწორედ ამ პერიოდში რესპუბლიკაში იბადება ტრადიცია საგნობრივი ოლიმპიადების ჩატარებისა, შეჯიბრება საუკეთესო პიონერულ რაზმზე და სხვ.

დიდმა სამამულო ომმა შეწყვიტა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება. ქვეყნის ასეთი მდგომარეობა პიონერული ორგანიზაციის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნას მოითხოვდა, 1942 წლის ოქტომბერში საქართველოს ალკკ ცკ ბიურომ საგანგებო დადგენილებაში განსაზღვრა პიონერული ორგანიზაციის ამოცანები დიდი სამამულო ომის პირობებში. დიდი სამამულო ომის დღეებში პიონერებმა თავიანთი სასარგებლო საქმეებით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ღირსეულად ატარებენ ნორჩი ლენინელის სახელს. დაჭრილების მოვლა-პატრონობა ჰოსპიტალში, ფრონტზე წასული მამების შეცვლა საკოლმეურნეო მინდვრებში, ფაბრიკა-ქარხნებში, თბილი ტანსაცმლის შეგროვება და ამანათების გაგზავნა, პიონერული შაბათობებით გამომუშავებული თანხით თვითმფრინავების ესკადრილიისა და სატანკო კოლონების აგება—აი ჩვენი ბავშვების მონაწილეობის არასრული ნუსხა. არაერთი ბავშვი დაჯილდოებულია ამ პერიოდში. ევგენი ტოპრაკაშვილი — 11 წლის „პოლკის შვილობილი" მამაცობისათვის ფრონტზე დაჯილდოვდა ორდენებით და მედლებით. ზურგში ჩოხატაურელი პიონერი ეთერ ჯიბუტი იღებს მედალს „მამაცური შრომისათვის" და სხვ.

ომისშემდგომმა პერიოდმა, ქვეყნის აღდგენითმა სამუშაოებმა, ტექნიკის წინსვლამ სკოლის, პიონერული ორგანიზაციის წინაშე ახალი ამოცანები დააყენეს მყარი ცოდნის დაუფლებისათვის, ტექნიკისადმი ინტერესის გაღვივებისათვის. სკოლაში იქმნება „ხელმარჯვეთა წრეები", იმართება კონკურსები, ოლიმპიადები სხვადასხვა საგნებში, საქართველოს ბავშვები არაერთხელ მონაწილეობენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, იბადება შესანიშნავი თაოსნობა მშობლიური მხარის, კომკავშირის ისტორიის შესასწავლად. პიონერული ორგანიზაციის ისტორიას შემორჩა არაერთი პიონერული კოცონი, მეგობრობის ფესტივალი, საინტერესო პიონერული შეკრება.

დღეს ჩვენ 25 მილიონი ვართ! — ამაყად ამბობენ ჩვენი ქვეყნის პიონერები, მათ უერთებს ხმას საქართველოს პიონერთა ნახევარმილიონიანი არმიაც, რომელიც გაიზარდა და განმტკიცდა, გამოიწრთო 50 წლის განმავლობაში. დღესაც, პიონერული ორგანიზაცია ბავშვებში ზრდის მოქალაქის საუკეთესო თვისებებს, აყალიბებს მათ პატრიოტებად, ინტერნაციონალისტებად, ეხმარება სკოლას მისი დიდი ამოცანის შესრულებაში.

პარტიამ და მთავრობამ შექმნეს ყველა პირობა ბავშვების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ბავშვების მუშაობისათვის გამოჰყო მნიშვნელოვანი მატერიალური ბაზა. ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვების აღზრდის საქმეს ემსახურება 104 სკოლისგარეშე დაწესებულება — პიონერთა სახლები და სასახლეები, ნორჩ ტექნიკოსთა, ტურისტთა, ნატურალისტთა სადგურები, პიონერული ბანაკები, სტადიონები, ბავშვთა პარკები. აქ ენთუზიასტთა დიდი არმია მუშაობს, ბევრი მათგანი საინტერესო მეთოდური წრეობრივი მუშაობის, სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ინფორმაციის ინტენსიური ზრდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები დიდ გავლენას ახდენენ ჩვენი ბავშვების ცხოვრებაზე, მათს შეხედულებებზე, ჩვევებზე, თვისებებზე. დემოგრაფები ამტკიცებენ, რომ დღევანდელი ბავშვების ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარება გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ეს იყო 20-30 წლის წინათ. ამიტომ ბავშვთა კოლექტივის კარგად შერჩეულ ორგანიზატორზე, ე. ი. უფროს პიონერხელმძღვანელზე ბევრად არის დამოკიდებული პიონერული ორგანიზაციის წარმატება. დღეს რესპუბლიკაში 2.500 უფროსი პიონერხელმძღვანელი ემსახურება ბავშვების აღზრდის საქმეს. უმეტესობას ახასიათებს საქმით გატაცება, პროფესიისადმი ერთგულება; ბევრი მათგანი პიონერული კოლექტივების უნარიანი ორგანიზატორი, ბავშვების კარგი მეგობარია.

უკანასკნელ წლებში ბევრი გაკეთდა უფროსი პიონერხელმძღვანელების როლისა და ავტორიტეტის გაზრდისათვის. ამჟამად რესპუბლიკაში 151 უფროსი პიონერხელმძღვანელი არჩეულია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად, ზოგიერთი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით. მათ შორის ბევრი ახალგაზრდა კომუნისტია. ჩვენი რესპუბლიკის პიონერულ ორგანიზაციას ბევრი დამხმარე და კარგი მეგობარი ჰყავს — პედაგოგები, მეცნიერები, მწერლები, ფაბრიკა-ქარხნების, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების ახალგაზრდები, კომუნისტები.

პიონერული ორგანიზაციის მუშაობის წარმატება, მისი შემდგომი სრულყოფა განპირობებულია იმ ზრუნვით, რასაც მის მიმართ იჩენენ პარტია, კომკავშირი, სკოლა, მშობელთა საზოგადოებრიობა.

1970 წლის ივლისში ლენინგრადში გამართულ პიონერთა IV საკავშირო შეკრებაზე სტარტი მიეცა პიონერული რაზმების საკავშირო მარშს „მზად ვარ". იგი დღევანდელი პიონერული საქმიანობის თავისებური ფორმაა, რომელიც სიმბოლური სახელწოდებით აერთიანებს პიონერული კოლექტივების მრავალრიცხოვან მოღვაწეობას, მან საშუალება მოგვცა უფრო კონკრეტული სახე მიგვეცა ჩვენი მუშაობისათვის, გაგვეშალა იგი უშუალოდ რაზმებში.

მოსწავლეების ხელით გაშენებული ხეივნები და ბაღები. თბილისელი პიონერების ზრუნვა თავიანთ სკოლებზე, 26.000 მანეთი, შეგროვებული ჩვენი ბავშვების მიერ შაბათობაზე და გადარიცხული ჩუკოვსკის პიონერთა სასახლის მშენებლობაზე, ბავშვების ზრუნვა საქართველოს კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის, რკინის ჯართი, შეგროვებული საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის— ენგურჰესისათვის,— აი არასრული ნუსხა ჩვენი პიონერების საქმიანობისა.

მაგრამ ყველაზე მთავარი საქმე პიონერისათვის კარგი სწავლაა. იგი დიდი ხანია აღარ არის თვითეული მოსწავლის პირადი საქმე. ჩვენს ქვეყანაში ეს სახალხო საქმეა, და ჩვენ გვესმის, რომ პარტია, ხალხი ბევრს ელიან იმ თაობისაგან, რომელიც დღეს სკოლაში დადის. ჩვენი პიონერული იუბილე სასწავლო წლის დამთავრებას ემთხვევა, და ვფიქრობთ, რომ პიონერები უპატაკებენ სამშობლოს წარჩინებული სწავლის შესახებ.

პიონერული ორგანიზაციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მარტო ჩვენი ბავშვების ზეიმი როდია. მის რიგებში პიონერული წრთობის საუკეთესო სკოლა გაიარა ჩვენი ქვეყნის 150 მილიონზე მეტმა მოქალაქემ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წელი" საგანგებოდ არის აღნიშნული მისი ადგილი და როლი ახალი თაობის აღზრდის საქმეში.

არსებობის ნახევარსაუკუნოვან მანძილზე ლენინის ორდენოსანმა პიონერულმა ორგანიზაციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი ღირსეულად ასრულებს დიდ და რთულ ამოცანას მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

## პიონერი

შეხე იმ მთას, ფრთები ქრიან
იმ მთის კიდევ გადაღმა,
პიონერი მისთვის გქვია —
ყველაფრისთვის მზადა ხარ.

სიმაღლეში გამაკვირვე,
სილაღეში გამაკვირვე,
პიონერი ნიშნავს პირველს,
ყველაფერში პირველს.

მას სინათლე არა ჰქვია,
რასაც ბნელი თან ახლავს,
პიონერი მისთვის გქვია,
ყველაფრისთვის მზადა ხარ.

სიფხიზლეში გამაკვირვე,
ხმლის ქნევაში გამაკვირვე.
პიონერი ნიშნავს პირველს,
ყველაფერში პირველს.

შენი ყელსახვევის ფრიალს
ქარიშხალიც თან ახლავს...

პიონერი მისთვის გქვია,
ყველაფრისთვის მზადა ხარ.

გაძლებაში გამაკვირვე,
მოთმენაში გამაკვირვე,
პიონერი ნიშნავს პირველს,
ყველაფერში პირველს.

შენ გინახავს: სისხლი, ტყვია,
არ გინახავს გადახრა.
პიონერი მისთვის გქვია,
ყველაფრისთვის მზადა ხარ.

სიმკაცრეში გამაკვირვე,
სინაზეშიც გამაკვირვე,
პიონერი ნიშნავს პირველს,
ყველაფერში პირველს.

შეხე ბაღნარს, ცვრიანს, მზიანს,
მოვლა უნდა ამ ბაღნარს,

პიონერი მისთვის გქვია,
ყველაფრისთვის მზადა ხარ.

სიყვარულში გამაკვირვე,
სიუხვეში გამაკვირვე,
პიონერი ნიშნავს პირველს,
ყველაფერში პირველს.

ამ მიწაში მამა-პაპამ
სიყვარული ჩამარხა.
თქვი, რომ აინთები ლამპრად,
თქვი, რომ მუდამ მზადა ხარ.

სიფხიზლეში გამაკვირვე,
ხმლის ქნევაში გამაკვირვე,
პიონერი ნიშნავს პირველს
ყველაფერში პირველს.

ჯანსუღ ჩარკვიანი,
საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.



## ორმოცდამეათე გაზაფხული

თ. ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

საბჭოთა ადამიანები თავიანთი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლებს სამართლიანად უკავშირებენ პიონერულ ორგანიზაციას — საბჭოთა ხალხის სიჭაბუკის ისტორიას, სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით მოზარდი თაობის აღზრდის სკოლას. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ დღეს — პიონერთა ორგანიზაციის 50 წლისთავს ჩვენი სამშობლოს ხალხები, დიდი თუ პატარა, სიყვარულითა და ზეიმით ეგებებიან.

ორმოცდაათი შინაარსიანი გაზაფხული განვლო ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერულმა ორგანიზაციამ და ამ ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სასახელო და საგმირო ფურცელი ჩაწერა საბჭოთა სამშობლოს მატიანეში. აღსანიშნავია, რომ პიონერთა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, კომკავშირის მიერ წამოწყებული არც ერთი საქმე.

გმირული ბრძოლა და დაუღალავი შრომა წითელი ხაზივით თან სდევდა პიონერთა მთელ საქმიანობას სამოქალაქო ომისა თუ სამამულო ომის ფრონტებზე, კოლექტივიზაციისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში თუ პირველი ხუთწლედის ხარაჩოებზე.

დიდი სამამულო ომის წლებში პიონერებმა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების მრავალი მაგალითი გვიჩვენეს. თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის პიონერებმაც, მათი შრომითი დანაზოგებით აშენდა სატანკო კოლონა „საქართველოს ნორჩი პიონერი", შეაგროვეს და ჩააბარეს ათეულ ტონობით სამკურნალო ბალახები და მცენარეები, უფროსებთან ერთად მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო მინდვრების დამუშავებაში, მოსავლის აღებაში, დაჭრილი მეომრების მოვლაში და ა. შ. ომის დამთავრებისთანავე პიონერები აქტიურად ჩაებნენ აღდგენით სამუშაოებში, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მშენებლობაში და აქაც ისახელეს თავი.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ლენინელები თავიანთ მრავალმილიონიან თანატოლებთან ერთად ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს; გასულ წელს საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებულ სამეურნეო გამარჯვებებში სათანადო წვლილი პიონერებმაც შეიტანეს, მოიყვანეს და სახელმწიფოს დიდი რაოდენობით ჩააბარეს ხორბლისა და სიმინდის მარცვალი, მოკრიფეს ასობით ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ყურძენი, ტუნგი, ციტრუსები, თავდადებით შრომობდნენ მეცხოველეობათა ფერმებში.

1970-1972 წლებში ჩუკოვსკის პიონერთა სახლის ასაშენებლად ქართველმა პიონერებმა საკავშირო პიონერულ ყულაბაში გადარიცხეს თავიანთი შრომითი დანაზოგით მიღებული 26 ათასი მანეთი. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენი რესპუბლიკის 500 ათასი პიონერიდან თვითეული დარგავს და ახარებს ხუთ-ხუთ ნერგს. ახალციხელმა ნორჩებმა საამისოდ უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები — საფუძველი ჩაუყარეს შინმოუსვლელთა სახელობის პარკს, სადაც დაირგვება იმდენი ხე, რამდენი ახალციხელი ახალგაზრდაც დაეცა ბრძოლის ველზე.

ამ საზეიმო დღეებში ქუთაისელ პიონერთა მიერ შეგროვებული ჯართიდან მიღებული ლითონით ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში აიწყობა 50 სატვირთო ავტომანქანა „კოლხიდა", ხოლო სატრაქტორო ქარხანაში 50 მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი წარწერით „პიონერმშენი".

როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, პიონერთა დღევანდელი თაობა სასახელოდ აგრძელებს და ამრავალფეროვნებს 20-30-იანი წლების პიონერთა სახელოვან ტრადიციებს, რაც მოზარდი თაობის მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის შედეგია.

დღეს შეგვიძლია დავასახელოთ უამრავი სკოლა, პიონერული ორგანიზაცია, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს იყენებენ მოზარდი თაობის ხალხთა ურღვევი ძმობისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით აღზრდისათვის. თანდათან ფართოვდება საქართველოს პიონერების ურთიერთობათა გეოგრაფიული საზღვრები. რესპუბლიკის სკოლების 1955 პიონერული რაზმეული აწარმოებს მიმოწერას მოძმე რესპუბლიკების პიონერებთან. უწყვეტი მეგობრობის ძაფებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს ბათუმელი და იგლაველი, ფოთელი და პლოვდიველი, თბილისელი და ბუდაპეშტელი პიონერები. ქართველი პიონერები ამ ბოლო დროს არაერთხელ სწვევიან სტუმრად გერმანელ, პოლონელ, უნგრელ, ბულგარელ, ჩეხ თანატოლებს.

ტრადიციული გახდა ფესტივალი „15 თანავარსკვლავედი". ამ საგაზაფხულო არდადეგების დროს თბილისის 26 კომისრის რაიონის სკოლების პიონერებმა მასპინძლობა გაუწიეს 14 მოკავშირე რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეებს. რესპუბლიკის ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ სკოლებში ხშირად იმართება ხალხთა მეგობრობის საღამოები, მეჯლისები, კარნავალები, ლიტერატურული დილები.

ჩვენს რესპუბლიკაში დანერგილია სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მრავალი ფორმა, რომლებსაც ბევრი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და კომკავშირული ორგანიზაცია შემოქმედებითად იყენებს ბავშვებთან მუშაობაში. სკოლებში ფუნქციონირებს ნორჩ კოსმონავტთა, მეხანძრეთა, ნორჩ მილიციელთა, ნორჩ მესაზღვრეთა 938 რაზმი. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ნორჩმა მესაზღვრეებმა სასაზღვრო რეჟიმის არაერთი დამრღვევი დააკავეს. მოსწავლეთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სამხედრო სპორტული თამაში „ცისკარი", რომელშიც 45 ათასზე მეტი მოზარდია ჩაბმული. რევოლუციური ბრძოლების, საკოლმეურნეო მოძრაობის პიონერების, პირველი ხუთწლედების შრომისა და სამამულო ომის გმირების წარსულის ბურუსით დაფარულ არაერთ სასახელო საქმეს მოჰფინეს შუქი ნორჩმა კვალმაძიებლებმა.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ პიონერული მუშაობა სისხლსავსედ ჩქეფს და ბავშვთა გამომგონებლობას ბოლო არ უჩანს იქ, სადაც სკოლის ხელმძღვანელები, პედაგოგები, პიონერხელმძღვანელები, კომკავშირელები პატივს სცემენ და ხელს უწყობენ პიონერთა ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სკოლა, სადაც პიონერული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული, ან ნორჩთა თვითშემოქმედება ადმინისტრირების მეთოდებით არის შეცვლილი. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სკოლებში რადიკალურად გარდავქმნათ და ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, რათა იგი სრულად აკმაყოფილებდეს თვითეული პიონერის გონებრივ, სულიერ მოთხოვნებს, ზრდიდეს და აყალიბებდეს მათში კომუნისტური საზოგადოების მომავალი მშენებლის იდეურ და მორალურ თვისებებს.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება კიდევ უფრო ავამაღლოთ პიონერული ორგანიზაციის გავლენა და ავტორიტეტი, რომლებსაც ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური პარტია და კომკავშირი. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ თვითეულ პიონერულ რაზმეულს, რაზმს, კლუბს სათავეში ჩავუყენოთ ბავშვებთან მუშაობის უნარის მქონე ახალგაზრდა, რომელსაც შეეძლება საინტერესო საქმეებში პიონერთა აყოლიება, სკოლებში პიონერული რომანტიკით აღსავსე „კოცონის" დანთება.

თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ პიონერთა ორგანიზაციისათვის საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს, კომკავშირელებს, ამაზე ნათლად მეტყველებს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების, გორის რაიონის ბრეთის კოლმეურნეობის მაგალითები.

რესპუბლიკაში პიონერულ მუშაობაში სკოლის ძლიერ დასაყრდენსა და მოკავშირეს წარმოადგენს პიონერთა სასახლეების, სახლების, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა და ტურისტთა სადგურების, პიონერთა პარკების ფართო ქსელი, რომელთაგან ბევრი ბავშვთა შორის საინტერესო მუშაობის ინიციატორი და ორგანიზატორია. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, სადაც საფუძველი ჩაეყარა არაერთ სასახელო ტრადიციას და დაინერგა პიონერებთან მუშაობის მრავალი ახალი ფორმა და მეთოდი. მრავალჯერ უსახელებიათ რესპუბლიკა საკავშირო ასპარეზობებსა და გამოფენებზე ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის აღსაზრდელებს; მუშაობის საინტერესო ფორმები გამონახეს ქობულეთის, სოხუმის, მახარაძის, ფოთის, წულუკიძის პიონერთა სახლებმა, ბათუმის პიონერთა პარკმა.

მაგრამ პიონერულ საქმეთა შორის ყველაზე მთავარი და ძირითადი მუდამ იყო ცოდნის მწვერვალების დაპყრობა. ამ საქმეში მასწავლებელს, როგორც ერთგული თანაშემწე, მხარში ედგა და უდგას სასკოლო პიონერული ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ ახლა, სწავლების შინაარსის სრულყოფისა და ახალ პროგრამებზე გადასვლის პროცესში, რესპუბლიკის ბევრ პიონერულ ორგანიზაციაში შეძლეს გამოენახათ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად დაუფლებისათვის მოსწავლეთა პასუხისმგებლობის ამაღლების საინტერესო ხერხები და მეთოდები. „არცერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით" — ასეთია მათი დევიზი და წარმატებითაც ახორციელებენ მას.

ღრმად განათლებული, იდეურად გამობრძმედილი და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა უდიდესი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა, ვინაიდან „ისინი, ვინც ახლა სწავლობს, ან ახლა შედის სკოლაში, — განაცხადა პარტიის XXIV ყრილობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. კოსიგინმა, ოთხმოცდაათიან წლებში და XXI საუკუნის დასაწყისში განავითარებენ ქვეყნის ეკონომიკასა და კულტურას". ეს კი მასწავლებლებისაგან, პიონერხელმძღვანელებისაგან, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან დაძაბულ შრომასა და მინდობილი საქმისათვის დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

საკავშირო პიონერულ მარშში მონაწილეობა მიიღო 18.475 პიონერულმა რაზმმა, 2872 რაზმეულმა. მარჯვენაფლანგელის სახელი მოიპოვა, სამწუხაროდ, მხოლოდ 1822 რაზმმა და 56 რაზმეულმა, რაც აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ სწავლის საქმეში პიონერთა ორგანიზაციებში ყველაფერი რიგზე როდია.

მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ სტატისტიკურ მონაცემებს, დავინახავთ, რომ V, VI, VII-კლასელ პიონერთა აკადემიური წარმატების დონე სასურველზე დაბალია, არც თუ იშვიათია ამ კლასის მოსწავლეთა სწავლებიდან ჩამოშორების შემთხვევებიც, რაც საფრთხეს უქმნის საყოველთაო ათწლიან განათლებაზე გადასვლას.

პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის ზეიმის დღეს ნაკლოვანებებზე ყურადღება მხოლოდ იმიტომ შევაჩერეთ, რომ მოპოვებულ დიდ წარმატებებთან ერთად მხედველობიდან არ გამოგვეპაროს პიონერული ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები და დღესვე, ამ საზეიმო ვითარებაში განათლების ორგანოებს, სკოლის ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს, პიონერხელმძღვანელებს მოვუწოდოთ დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ჩვენი მოზარდი თაობის საყვარელი ორგანიზაციის მუშაობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

დღეს, ბავშვების ორმოცდამეათე გაზაფხულის ზეიმზე, მასწავლებლები, მშობლები, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ ულოცავენ ნორჩ ლენინელებს სახელოვან დღესასწაულს და უსურვებენ მათ დიდ წარმატებებს სწავლასა და შრომაში.

## პიონერთა კარგი საქმეები

პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს ღირსეულად ხვდებიან თერჯოლელი პიონერები. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ მარშრუტს „ცოდნის სამყაროში". ისინი იბრძოდნენ რაზმში 100-პროცენტიანი წარმატების, „მარჯვენაფლანგელი" რაზმის სახელის მოპოვებისათვის. სასწავლო წლის მესამე მეოთხედი კარგად დაამთავრეს კვახჭირის საშუალო სკოლის მეორე და მეხუთე, თერჯოლის საშუალო სკოლის პირველმა და მეოთხე, ჩხარის საშუალო სკოლის პირველმა რაზმებმა.

ათასობით ძირი მცენარე დარგეს ხაზანის, ჩხარის, თერჯოლის, ზედა სიმონეთის, ბარდუბნის სკოლების ბუნების ნორჩმა მეგობრებმა. თერჯოლის პიონერთა სახლმა იუბილესთან დაკავშირებით მოაწყო მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოებისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების კონკურსი-გამოფენა. კარგი ნამუშევრები წარმოადგინეს ბარდუბნის, ჯიგნარის, ლვანკითის, ზედა სიმონეთის, ჩხარის საშუალო სკოლების პიონერ-მოსწავლეებმა. მათი დამზადებული „ქართული აკვანი", „საწნახელი", „თვითმფრინავი", „ხელკალათა", „სამუშაო იარაღები", „კევრი", „იმერული სამჭედლო" და სხვ. თბილისში გაიგზავნა გამოფენაზე.

პიონერთა სახლიდან თბილისში საკონკურსოდ გაიგზავნა აგრეთვე სახვითი ხელოვნების ნიმუშები — „ბალერინა გამოსვლის წინ", „მუშკეტერები", „სვანეთი", „გელათი", „ჩაის პლანტაციაში", „წყარო", „შემოდგომის ხურათი".

ბ. ჭიოკაძე.

## „არწივი" შლის ფრთებს

ტყიბული. (საქ. კორ.). კურორტი ქობულეთი მეშახტეთა ქალაქს — ტყიბულს საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული, მაგრამ ეს როდი ანელებს ბავშვთა ლტოლვას პიონერთა ბანაკში, რომელიც ფიჭვნარში, ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზეა გაშენებული.

ქობულეთის პიონერული ბანაკის „არწივის" კეთილმოწყობისათვის დიდი მუშაობა გასწიეს ბოლო წლებში. განაახლეს და კეთილმოაწყვეს პლაჟი, დადგეს საჩრდილობელი, შეაკეთეს კორპუსები, ააგეს საზაფხულო ესტრადა. ბანაკის ეზო შემოაკავეს და იქ 500 ძირი ფიჭვი დარგეს, გააშენეს სკვერები და გაზონები. წელს ბანაკში 1100 ბავშვი დაისვენებს.

## მუდამ მზად ვართ!

### პიონერთა მეათე რესპუბლიკური შეკრება

ყოველ წელს 19 მაისს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მოსწავლეები აღნიშნავენ თავიანთ დიდ დღესასწაულს — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს. დღეს წითელყელსახვევიანთა არმია ზეიმობს თავის ნახევარი საუკუნის იუბილეს.

„მუდამ მზად ვარ! — ასეთი იყო საბჭოთა პიონერიის მრავალმილიონიანი არმიის დევიზი, რომელმაც ორი წლის წინათ დაიწყო სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რაზმების სრულიად საკავშირო მარში. საქართველოს ასი ათასობით ნორჩი ლენინელი გაემართა მარშრუტებით: „ცოდნის ქვეყანაში", „მშვიდობა და სოლიდარობა", „პიონერული დროშით", „პიონერმშენი"...

და ახლა, განვლილი ორწლედის შედეგების შეჯამებისას, ქართველ პიონერთა ნახევარმილიონიანზე მეტი არმია საზეიმოდ უპატაკებს სამშობლოს: ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად შევასრულეთ.

საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად 17 მაისს თბილისში გაიხსნა პიონერთა მე-10 რესპუბლიკური შეკრება. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეიკრიბნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმოგზავნილნი.

საზეიმო მარშის ხმებზე შემოაქვთ საქართველოს რესპუბლიკური პიონერული ორგანიზაციის დროშა. საპატიო ყარაულში დგანან თბილისის 1-ლი, მე-9, 39-ე, 47-ე, 113-ე საშუალო სკოლების საუკეთესო მოსწავლეები. ეს საპატიო უფლება ლ. გვილაიამ, დ. საგინაშვილმა, ვ. ჯიოევმა და სხვებმა ჩინებული სწავლით მოიპოვეს.

გაისმის პატაკის სიტყვები. ქართველი პიონერები მოახსენებენ სამშობლოს, თუ რა გააკეთეს სრულიად საკავშირო მარშის დროს. გაიხსნა შრომითი და საბრძოლო დიდების ასობით მუზეუმი, მოეწყო ათასობით ლაშქრობა, შრიალებს პიონერების მიერ დარგული მილიონობით ხე. მარტო დევიზით „სკოლა შენი სახლია" შეჯიბრების დროს თბილისელმა მოსწავლეებმა ოთხი მილიონი მანეთი დაუზოგეს სახელმწიფოს იმით, რომ მზრუნველად უვლიდნენ სასკოლო შენობებს, ინვენტარსა და მოწყობილობას. თბილისელმა მოსწავლეებმა, რომელთაგან 14 ათასი ფრიადოსანია, შეაგროვეს სრულიად საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის — ინგურჰესის მეოთხე აგრეგატის დასამზადებლად საჭირო ლითონის ჯართი.

მესტიელი მოსწავლეებისათვის ეს წელი სწავლაში დიდი წარმატებების წელია. ჩვენ დავუმეგობრდით რესპუბლიკის სხვა ქალაქების პიონერებს, ამბობს 1-ლი საშუალო სკოლის მეოთხე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე აზა ღოსელიანი. ჩვენი ბავშვები ხალისით ეხმარებიან უფროსებს, „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს", რომელიც ჩვენს რაზმში შევქმენით, კარგად იცნობენ საკოლმეურნეო ფერმაში, რომელსაც გაჭირვების ჟამს მხარში ამოუდგება ხოლმე.

გამარჯვების ხეივანს რუსთავში სამართლიანად უწოდებენ პიონერულს, — თქვა თავის პატაკში რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის ა რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ მარგარიტა მაკოიანმა. კარგ ტრადიციად გადაიქცა სადღესასწაულო თარიღების აღსანიშნავად „შრომითი დესანტის" გაგზავნა პიონერული მოქმედების ზონაში. მაგალითად, პიონერული ორგანიზაციის იუბილეს წინ 40 პიონერი გამოვიდა ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — გამარჯვების ხეივნის კეთილმოსაწყობად და გასამწვანებლად. კარგად იმუშავეს მარშრუტის „მშვიდობა და სოლიდარობა" მონაწილეებმაც — ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებმა, რომელიც უკვე 10 წელია შექმნილია ჩვენს სკოლაში. მათ მეგობრები ჰყავთ საბჭოეთის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ.

წულუკიძის რაიონის „პიონერმშენის" მარშრუტის მონაწილეებმა შარშან მოკრიფეს 20 ტონამდე ჩაის ფოთოლი, სოფელ ქუტირში დარგეს 80 ათასი თუთის ხე. ამ პლანტაციას „პიონერული" ეწოდა. ბავშვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს წულუკიძის მუსიკალური სკოლის მშენებლობაში.

ქედის რაიონის სოფელ ვაიოს საშუალო სკოლის პიონერული რაზმი თანასოფლელთა აქტიური თანაშემწეა ყველა შრომით საქმეში. „პიონერმშენის" მარშრუტზე მიღწეული წარმატებებისათვის მან მოიპოვა გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ვიმპელი.

შეკრების პირველ დღეს მისი მონაწილენი იყვნენ გამოფენაზე „ნორჩთა შემოქმედება", რომელიც გახსნილია საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში, აგრეთვე „საბავშვო წიგნის გრაფიკის" გამოფენაზე „მერანის" გამომცემლობაში. (საქინფორმი).



ზეიმობენ თბილისელი პიონერები.

ბ. ხანაიას ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავია



ამ სურათზე აღბეჭდილია თბილისის პიონერთა სასახლის კიდევ ერთი სიხარული — ქართველ პიონერთა სტუმარია კოსმონავტი შონინი.
ი. ლუკაშვილის ფოტო.



ეს გოგონები და ბიჭუნები — საქართველოს პიონერთა X რესპუბლიკური შეკრების დელეგატები რუსთავიდან, დმანისიდან, მესტიიდან და სხვა რაიონებიდან — დაჯილდოებული არიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით და ვიმპელებით (სურათი ზემოთ); მოზეიმეთა რიგებში მიაბიჯებენ მედაფდაფე გოგონები. (სურათი ქვემოთ).
ა. კაპკასიძის ფოტო.





თბილისის პიონერთა სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი. ქართულს, დავლურს, ხორუმს და მრავალი სხვა სახის ცეკვას ეუფლებიან ეს პიონერები.
გ. გოგოხიას ფოტო.

## საკავშირო დროშა შეინარჩუნეს

ქედა. (საკ. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის საწარმოო ორგანიზაციებისა და სატყეო მეურნეობათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების წლევანდელი პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ქედის რაიონის სატყეო მეურნეობამ შეინარჩუნა გარდამავალი წითელი დროშა, რაც შარშან მეოთხე კვარტალში მოიპოვეს. მას გადაეცა პირველი პრემია.

რაიონის მშრომელებს საზეიმო კრებაზე ჯილდო მიულოცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. კუჭავამ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ სატყეო მეურნეობის დირექტორი ხ. ულენტი, მეტყევე-ტექნიკოსი დ. ბერიძე, გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქტორი მ. მახარაძე.

## საფინანსო განყოფილებას — საპატიო წოდება

ონი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით რაიონის საფინანსო განყოფილებას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება.

რაიონის ფინანსისტებმა ჯადაჭარბებით შეასრულეს გასული წლის საფინანსო-საკონტროლო დავალება. სახელმწიფო შემოსავლის გეგმა განაღდებულია 108,1 პროცენტით, საბიუჯეტო — 102,6 პროცენტით. საფინანსო განყოფილების კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ორგანიზაციული მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შიდასამეურნეო რეზერვების გამოვლინებას, საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტების აღკვეთას, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაცვას, მათ ეფექტიან გამოყენებას.

## გააცილეს საბჭოთა არმიაში

დედაქალაქის მშრომლები აცილებენ და გზას ულოცავენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში ახლად გაწვეულებს.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა საბჭოთა არმიის ოფიცერთა თბილისის საოლქო სახლში გამართა წვევამდელებთან შეხვედრა. შეკრებას ესწრებოდნენ დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციებისა და დოსააფის წარმომადგენლები, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, მოწინავე ახალგაზრდები, საბჭოთა არმიის თბილისის გარნიზონის მეომრები.

შეკრება გახსნა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ალავიძემ. დარბაზში შემოაქვთ სამხედრო დროშები, დამსწრენი ფეხზე ადგომით პატივს სცემენ მრავალ ბრძოლაში გამოტარებულ დიდების დროშებს.

მოხსენებით „სამხედრო სამსახური ყოველი საბჭოთა მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა“ — გამოვიდა რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტიკური განყოფილების უფროსი მ. იაშვილი.

სამხედრო საბრძოლო დროშების ისტორიაზე ილაპარაკა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის უფროსმა, თადარიგის პოლკოვნიკმა ი. კეზერაშვილმა.

შეკრების მონაწილეებს მიესალმა სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ჯადამდგარი პოლკოვნიკი ალ. სოტნიკოვი. შეკრებაზე გამოვიდნენ ახალგაზრდა ოფიცრების სახელით — ამიერკავკასიის პოლიტიკური განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი კომკავშირული მუშაობის დარგში, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრი ს. სკოროდუმოვი და სხვები.

შეკრების დასასრულს ვ. ალავიძემ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის სიგელებით დააჯილდოვა წვევამდელები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სწავლასა და შრომაში.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ზ. თერგიაშვილი.

## დაიპყრეს მიწისქვეშა ჩანჩქერი

გეგეჭკორ-ცხაკაიას რაიონში კვლევით სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიცია ჯ. ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით. ჯგუფმა, სპორტის ოსტატ თ. ბაქანიძისა და ჯ. ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით დაძლია კავკასიაში ერთ-ერთი უდიდესი მიწისქვეშა ჩანჩქერი ტობას პირველ მღვიმეში, რომელიც მდინარე აბაშის აუზში მდებარეობს. ასხის კირქვულ მასივზე (მეთვალყურე თ. ჯორჯაძე) ჩანჩქერის შვეულ კედელზე ქუხილით გადმოდიოდა უზარმაზარი მიწისქვეშა მდინარე, რომლის დებიტი წამში სამი ათას ლიტრს აღემატება. ჩანჩქერს აგრძელებს მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც გამოკვლეულია სამას მეტრზე მეტ მანძილზე.

ექსპედიცია მუშაობას განაგრძობს.

ლ. მოჭერელია,
გეგეჭკორის რაიონულ გაზეთ „შრომის დროშის“ რედაქტორი.

### ამინდი

## დღეს

დღეს, 19 მაისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სამხრეთის რაიონებში ხანმოკლე წვიმა, ზოგან ელჭექით, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის ქარი, ტემპერატურა ბარში 21-26, მთაში 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 20-25, მთაში 14-19 გრადუსი სითბო.

თბილისში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა, ტემპერატურა 23-25 გრადუსი სითბო.

## პოეზია თიხაში

### ძველი ხელოვნების ახალი სიცოცხლე

კერამიკული წარმოების დასაწყისი შორეულ წარსულს მიეკუთვნება. უხსოვარ ხანაში იწყება აგურისა და კრამიტის წარმოებაც. თუ კრამიტი მხოლოდ სახურავ მასალად იხმარებოდა, აგური საშენი მასალაც იყო და სამწერლობოც. საყოველთაოდ ცნობილია ასურულ-ბაბილონური ლურსმული წარწერები აგურზე. ქართველი ტომები ადრევე იცნობდნენ კერამიკული წარმოების ყველა სახეს.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საქართველოში მრავლად აღმოაჩინა კერამიკულ ნაკეთობათა ნაირსახეობანი, პირველყოფილი ჭურჭელი პრიმიტიული მოკაზმულობით, ქვევრები სითხის შესანახად და ადამიანთა სამარხად, სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების აგური, სხვადასხვა ზომის ჭიქურიანი და უჭიქურო კრამიტი და მოხატული ჭურჭელი.

დიდია სამხატვრო აკადემიის ღვაწლი თანამედროვე კერამიკის განვითარებაში. კერამიკული კათედრის (გამგე-პროფესორი გ. ქართველიშვილი), რექტორატისა და პროფესორ-მასწავლებლების ზრუნვამ ამ დარგის აღორძინებისა და წინ წაწევისათვის განაპირობა ის, რომ აკადემიის კურსდამთავრებულ მხატვარ-კერამიკოსთა ნაწარმოებებმა მსოფლიო კერამიკის საექსპოზიციო გამოფენებში, რომლებიც ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთსა და კანადაში მოეწყო, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა.

უაღრესად საინტერესო მუშაობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მცხეთის ქარხანა-ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელია მხატვარი მიხეილ გიორგაძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ კერამიკას საოცრად უწყობს ხელს ქართული თიხის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სხვა მხარის თიხებისაგან განსხვავებული, ჩვენში სხვადასხვა ფერის თიხაა.

არის მცხეთაში ერთი ორსართულიანი შენობა. იქ იქმნება ეროვნულ ტრადიციებზე მხატვრულ-კერამიკული ნაწარმი, რომელიც მსოფლიოს აოცებს. ამ შენობაში კერამიკული ქარხანა-ლაბორატორიაა მოთავსებული, იგი თბილისის სამხატვრო აკადემიას ეკუთვნის და სტუდენტებისა და დიპლომანტების საცდელ ლაბორატორიას წარმოადგენს.

კერამიკულ ქარხანა-ლაბორატორიაში შეიძლება გაეცნოთ პარიზის სავაჭრო პალატიდან გამოგზავნილ წერილს: „პატივცემულო მეგობრებო, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ საფრანგეთში ქართული კერამიკის ნიმუშები, ფიალები „თამარი“, „რევაზი“, ქართული დოქები, ხარჩოს თეფშები და სხვ“.

მხოლოდ შარშან 46 სხვადასხვა ეტალონის 1600 კერამიკული ნაწარმი გაგზავნეს ამ საწარმოდან პარიზში.

ქართული კერამიკა გამოფენილი იყო მონრეალში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ეს ქარხანა-ლაბორატორია 1962 წელს გაიხსნა.

ახალმა საწარმომ, რომელსაც ყურადღებას არ აკლებდნენ აკადემიის ხელმძღვანელები, მალე მოიპოვა ავტორიტეტი.

ამჟამად ქარხნის კერამიკას მსოფლიო აღიარება აქვს, მისი ნაწარმი გამოირჩევა მაღალი მხატვრულობითა და კომპოზიციის სისადავით. ქართული კერამიკა იგზავნება მთელ საბჭოთა კავშირში, საფრანგეთში, კანადაში, ინგლისში, ინდოეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში.

ლაბორატორიამ მუშაობა დაიწყო სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრაზე შექმნილი 15 ეტალონით, დღეს კი მის კატალოგში მხატვრული კერამიკის ასამდე სხვადასხვა ნიმუშია.

აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები — შემოქმედებითად ზრდიან ახალგაზრდა კერამიკოსებს, ძველი ეროვნული ფორმების შესწავლასთან ერთად აცნობენ თანამედროვე პროგრესულ ხელოვნებას; იქმნება ფორმით ლამაზი, მაღალმხატვრული ნაწარმოებები.

მცხეთის კერამიკულ ქარხანა-ლაბორატორიაში ხშირად იმართება სამხატვრო აკადემიის გამსვლელი სამეცნიერო-საკონსულტაციო საუბრები. აქ ინერგება აკადემიის კერამიკის კათედრაზე შექმნილი თანამედროვე კერამიკის ახალი ეტალონები.

მცხეთის კერამიკის ქარხანა-ლაბორატორიის მიღწევებზე ისიც მეტყველებს, რომ ამას წინათ საწარმოო კოლექტივმა ორჯერ მიიღო საკავშირო პალატის ჯილდო მაღალმხატვრული ეროვნული კერამიკის გამოშვებისათვის. ქარხნის დირექტორი, მხატვარი მ. გიორგაძე გვიჩვენებს შთაბეჭდილებათა წიგნს. „თქვენი კერამიკა შესანიშნავია, ფორმითა და ხატოვანი აღნაგობით თქვენს მდიდარ ბუნებას წააგავს“.

ასეთია ინგლისის ერთ-ერთი დელეგატის ჩანაწერი.

მცხეთის კერამიკული ქარხნის ჭიქურიც საოცრად მიმზიდველი გზინვადობით ხასიათდება. იგი სხვადასხვა ფერისაა: მწვანე, ლურჯი, შავი, ყავისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ბროწეულისფერი, ლალისფერი, ზურმუხტისფერი.

მცხეთის ქარხანას მრავალი წარჩინებული ოსტატი ჰყავს. მათ შორის უნდა დავასახელოთ ს. ირემაშვილი (ამომყვანი), ა. ტოკლიკიშვილი, ე. ბოცვაძე, მ. დორეული (მხატვრები), დ. გოჩალეიშვილი (გამომწვის ოსტატი), ზ. მრევლიშვილი, ნ. მაჩხანელი (ჩამომსხმელები).

მცხეთის კერამიკულ ქარხანას აქვს თავისი ემბლემაც: შავ ფონზე ამობეჭდილია ჯვარის ტაძრის მთელი კომპოზიცია და ქართული დოქი, ძველი ქართული გრეხილი წარწერით, „მცხეთა“. ეს ემბლემა თან ახლავს ამ ქარხნის ყველა ნაწარმს.

ს. ნაციაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — თამარის პორტრეტი; მარჯვნივ — ქართული კერამიკის ნიმუშები.



### ნ. გაფრინდაშვილ–ა. კუშნირის მატჩი

## თამაშის განუახლებლად...

რიგა. (ტელეფონით). გუშინ ნ. გაფრინდაშვილი თამაშის განუახლებლად დანებდა პრეტენდენტ ა. კუშნირს მესამე გადადებულ პარტიაში. მატჩის ანგარიშია 2:1 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ. საინტერესოა გავიხსენოთ, რომ წინა ორ მატჩში — როგორც 1965, ისე 1969 წელს, სამი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო 1,5:1,5.

რიგის საჭადრაკო კლუბი დიდ ინტერესს იჩენს მატჩისადმი. აქ გადაწყვიტეს მსოფლიო ჩემპიონისა და ამ ტიტულის პრეტენდენტის ასპარეზობას მიუძღვნან სპეციალური ბიულეტენის 10 ნომერი, რომლებშიც დაწვრილებით იქნება განხილული მატჩის თვითეული პარტია, თავიანთ აზრს გამოთქვამენ ჭადრაკის ცნობილი სპეციალისტები.

გ. გამრეკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

### ტყვიის სროლა

## სნაიპერთა ქულები

მოსკოვის ახლოს „დინამოს“ სასროლეთზე დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. აქ მეშვიდედ შეიკრიბნენ მსოფლიოს უძლიერესი მსროლელები. ინგლისელმა უაიეტმა ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში 50 მეტრზე 564 ქულა მოაგროვა. მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ თბილისელი მარლენ პაპავა (561 ქულა) და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი გრიგოლ კოსიხი (560 ქულა).
(საკდესი).

## ფეხბურთის ამბები

### უეფა-ს ტურნირზე

ესპანეთის ქალაქებში დამთავრდა უეფას ტურნირი ჭაბუკებში. ნახევარფინალში ითამაშებენ ინგლისის, პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ესპანეთის ჭაბუკი ფეხბურთელები. ნახევარფინალები გაიმართება შაბათს ვალენსიასა და ბარსელონაში.

საბჭოთა ნაკრებმა მეტისმეტად სუსტად ითამაშა შესარჩევ მატჩებში. როგორც უკვე ვიუწყებოდით, პირველი შეხვედრა მათ წააგეს გფრ-ის გუნდთან — 0:4. აი როგორი იყო პირველ ასპარეზობაში ჩვენი ნაკრების შემადგენლობა — რადაევი, ასილბაევი (ჯინჭარაძე), ბოიკო, ბერულავა, ჟუკოვი, პუდიშევი, სოლოვიოვი, ისაევი (კუცევი), სამოილენკო, დანილენკო, ფედოროვი. გერმანელთაგან თავი გამოიჩინა მარცხენა გარემარბმა დერნბერგერმა, რომელმაც სამი ბურთი გაიტანა. მეორე მატჩში უნგრელებთან 29-ე წუთზე ჯინჭარაძის მიერ საჯარიმო დარტყმით ჩაწოდებული ბურთი თავით გაიტანა ფარულავამ და ანგარიში გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში მეკარე რადაევმა შეცდომები დაუშვა. საბოლოოდ კვლავ დამარცხება 1:2. საბჭოთა ნაკრებმა წააგო მესამე მატჩიც შოტლანდიელებთან 0:2. სამმა გუნდმა უნგრეთმა, გფრ-მა და შოტლანდიამ ოთხ-ოთხი ქულა დააგროვა, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით ნახევარფინალში გფრ-ის ნაკრები გავიდა (მესამე მატჩში მათ დაამარცხეს უნგრელები — 3:2).

### თასი — „ტოტენჰემ ჰოტსპურსს“

დამთავრდა ევროპის უძლიერესი საკლუბო გუნდების ერთ-ერთი ტურნირი — უეფა-ს თასის გათამაშება. ფინალში, როგორც ცნობილია, ერთმანეთს ხვდებოდნენ ინგლისის კლუბები — „ტოტენჰემ ჰოტსპურსი“ და „ვულვერჰემპტონი“. დებულებით გაიმართა ორი ფინალური მატჩი, ერთი დამთავრდა ფრედ 1:1, მეორეში გაიმარჯვა „ტოტენჰემ ჰოტსპურსმა“ — 3:2 და თასიც მან მოიპოვა.

### ძალოსნობა

## ბულგარელი ათლეტების ორი ოქრო

კონსტანცის ფიცარნაგზე გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში.

მსუბუქი წონის სპორტსმენთა ასპარეზობა დამთავრდა 25 წლის სოფიელი სტუდენტის მლადენ კუჩევის გამარჯვებით. მან სამჭიდის ჯამში 447,5 კილოგრამი დააგროვა (155+125+167,5) და ამასთან მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 155 კგ. მეორე ადგილზეა შარშანდელი ჩემპიონი, პოლონელი ზბიგნევ კაჩმარეკი (442,5), მესამეზე — მოსკოველი მუხარბი კირჟინოვი (435).

ქვესაშუალო წონის კატეგორიაში ფიცარნაგზე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ევროპის შვიდგზის ჩემპიონ ვიქტორ კურენცოვსა და ახალგაზრდა ბულგარელ სპორტსმენ იორდან ბიკოვს შორის. ყველაფერი გადაწყვიტა ბოლო მოძრაობამ — აკვრაში ბულგარელმა უჩვენა დიდებული შედეგი 185 კილოგრამი და ჩემპიონის დიდი მედალიც მან მოიპოვა (სამჭიდში 477,5 კილოგრამი). ვ. კურენცოვი მეორე იყო (472,5), მესამე — იტალიელი ანსელმო სილვინო (460).

### ხელბურთი

## ასპარეზობა განახლდა

ზაპოროჟიეს სპორტის სასახლეში დაიწყო მეთერთმეტე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. მონაწილეობს რვა გუნდი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი, ცსკა, სპორტული კლუბი „კუნცევო“, ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტი და „ალუმინსტროი“, თბილისისა და კრასნოდარის „ბურევესტნიკი“, ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტი.

პირველ დღეს თბილისელებმა დაამარცხეს ტაშკენტელი სტუდენტები 21:13, „კუნცევოსა“ და ცსკა-ს მატჩი დამთავრდა ფრედ 13:13. მეორე დღეს ტაშკენტელმა ხელბურთელებმა ფრედ — 17:17 ითამაშეს „კუნცევოსთან“, 15:15 — ასეთი ანგარიშით დასრულდა კრასნოდარელ და ცსკა-ს ხელბურთელთა შეხვედრა, თბილისის „ბურევესტნიკმა“ წააგო ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან 11:13, ხოლო „ალუმინსტროიმ“ — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენებთან — 16:17.




## რამდენიმე სტრიქონით

● მუშიდლობის ველორბოლის მონაწილეებმა მეთერთმეტე ეტაპის გავლისას გადაკვეთეს ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის საზღვარი და ტროშენცში აღებული სტარტის ფინიში კრაკოვში ჰქონდათ. პირველი იყო მაროკოელი სპორტსმენი ნახლი. მას მიჰყვა პოლონელი მრბოლი ლაბოხა. მესამე პრიზიორად გამოაცხადეს ნელიუბინი. ამ შედეგით იგი კვლავ ლიდერის ყვითელ მაისურში განაგრძობს ბრძოლას. ასპარეზობას სათავეში ისევ საბჭოთა გუნდი უდგას. დამთავრდა საუკეთესო სამთო მრბოლელთა ასპარეზობა, რომელიც საერთო რბოლის კვალდაკვალ მიმდინარეობდა. იგი მოიგო პოლონელმა სპორტსმენმა შურკოვსკიმ. გუშინ მორიგი ეტაპის ფინიში იყო ეეშუვში. გაიმარჯვა ი. მოსკალიოვმა. საბჭოთა გუნდმა განიმტკიცა ლიდერობა. ნელიუბინი ჩეხოსლოვაკიელ მორავეცს 7 წამს უგებს.

● ბუდაპეშტში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. სამი სახეობის შემდეგ ასპარეზობის ლიდერია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, სახელგანთქმული უნგრელი სპორტსმენი ანდრაშ ბალცო.





### დისერტაციების დაცვა

#### თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 11 № 1 აუდიტორია)

31 მაისს, დღის 4 საათზე ელენე ვახტანგის ასული გოკიელი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მიკროელემენტების გავლენა ზოგიერთ პარკოსან მცენარეთა ხუნთქვაზე, ანატომიურ სტრუქტურასა და ზრდაზე“.

2 ივნისს, დღის 2 საათზე გურამ ოთარის-ძე მუჩაიძე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „პარტიის შესახებ“, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრების ფორმირება“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.


## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

19 მაისი

პირველი პროგრამით

10.30 — გადაცემა მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაარსების 50 წლისთავისადმი (თბილისიდან და მოსკოვიდან), ტრანსლაციის შემდეგ — დოკუმენტური ფილმი „თაობათა მარში“, 17.10 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — მოსწავლეთათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „ზღვის პირას“, 18.25 — მოსწავლეთათვის — „ხუთწლედების ბიოგრაფია“, 18.55 — განცხადებები, 19.00 „კვლევის საგანი — ტვინი და სისხლის მიმოქცევა“, 19.25 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „სსრკ-50“ „ჭამიდ გულიამი“. 21.00 — ფერადი ტელევიზია. [illegible] ...ვნილი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაარსების 50 წლისთავისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ფეხბურთი — საბჭოთა კავშირის პირველობაზე — ცსკა — „დინამო“ კიევი. მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „12 სკამი“ (მეორე სერია).

მეორე პროგრამით

19.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სკკპ ისტორიაში, 21.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო ფილმები.

20 მაისი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად, ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.10 — სატელევიზიო ფილმი „აქ რა გინდა, ვანია“, 11.35 — ჯანმრთელობა — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.05 — „ჩვენ გავხდებით პიონერები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — „ჰორიზონტი“ ლენინგრადიდან, 13.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 14.30 — საესტრადო პანორამა, 15.00 — „ჯადოსნური ეკრანი“, 15.20 — ახალგაზრდობისათვის. „მადნეული — მომავლის ქალაქი“, 15.40 — შევისწავლოთ ავტომობილი, 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — კინონარკვევი, 17.05 — „მომხმარებელს — კარგი ნახელავი“, 17.25 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — მოსწავლეთათვის. სატელევიზიო ჟურნალი „ცისარტყელა“, 18.30 — „სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხები ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), 20.45 — „ქართული კინოს წარსულიდან“ — ა. დიღმელოვი, 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — „პოეტი სტუდიაში“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ხელოვანი, დრო, საზოგადოება“, 23.15 — „სსრკ-50“. მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება“ — ყაზახეთი.

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 19.05 — სსრკ-50. დოკუმენტური ფილმი „თქმულება საბჭოთა სახელმწიფოზე“, 20.00 — მხატვრული ფილმი „ჯარისკაცი დაბრუნდა ფრონტიდან“.

### თეატრები

19 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „წელიწადის დრონი“, 2. საკონცერტო განყოფილება (სალ. 7 ს.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გუშინდელნი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სამი ასული და ტყის ქალები; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04529

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.